



საქართველოში არსებული
ეროვნებათშორისი
და რელიგიათშორისი
ურთიერთობების
შეფასება რეგიონების
მოსახლეობის მიერ

2009-2010

**პოლიტიკურისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო
პლატფორმი ცენტრი**

www.iccn.ge

**საქართველოში არსებული ეროვნებათშორისი და
რელიგიათშორისი ურთიერთობების
შეფასება რეზილიენტის მოსახლეობის მიერ**

სოციოლოგიური კვლევის შედეგები

2010

წინამდებარე სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა ICCN-ის გენდერისა და უმცირესობების ქვე-პროგრამით, EED მიერ მხარდაჭერილი პროგრამის „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და უმცირესობათა ინტეგრაცია“ ფარგლებში.

კვლევა მიზნად ისახავდა იმის გარკვევას, თუ როგორ აფასებს საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა ეროვნებათშორისი და რელიგიათშორისი ურთიერთობების სფეროში ქვეყანაში დღეისათვის არსებულ მდგრმარეობას.

სულ გამოკითხული იქნა 1100 პირი. კვლევა ჩატარდა ხუთ რაიონში (რაიონული ცენტრი და მიმდებარე სოფლები): ბოლნისი, მარნეული, ხაშური, ახალციხე და ახალქალაქი. გამოკითხვა ჩატარდა 2009 წლის ივნისში.

კვლევის სხვადასხვა ეტაპზე ICCN-ის თანამშრომლებთან, გიორგი ნიუარაძესა და ნანა ბერეკაშვილთან ერთად მონაწილეობდნენ ფსიქოლოგები: ლუიზა არუთინოვი, მისი კვლევითი ჯგუფი (კვლევის ორგანიზება, მონაცემთა შეგროვება) და ელენე ჩომახიძე (მონაცემთა დამუშავება და ანალიზი). საბოლოო ტექსტის ავტორი ელენე ჩომახიძე გახდავთ.

ანალიზის სრული ტექსტი ქართულ ენაზეა დაწერილი, თუმცა მას ახლავს დასკვნები როგორც რუსულ, ისე ინგლისურ ენებზე.

Assesment of Interethnic and Interreligious Relations in Georgia by the Population Living in Regions

The Results of sociological study

**ICCN
www.iccn.ge
2010**

This study was conducted in the frame of the ICCN Program “Strengthening of Civil Society and Integration of Minorities” supported by EED by the sub-program on Gender and Minorities.

The purpose of the study was to examine the current situation in the regions of Georgia concerning interethnic and interreligious relations based on the population’s assessments. 1100 respondents were surveyed in 5 regions of Georgia - regional centers and surrounding villages: Akhaltsikhe, Akhalkalaki, Khashuri, Marneuli, Bolnisi. The survey took place in July 2009.

The study was done jointly by ICCN staff members Giorgi Nizharadze and Nana Berekashvili and external researchers. On different stages of the research process experts - psychologists, Luiza Arutinova and her team of interviewers (the organisation of the survey) and Elene Chomakhidze (analysis) were involved. The final text was prepared by Elene Chomakhidze.

Conclusions of the results are available in English.

Оценка межэтнических и межрелигиозных отношений в Грузии населением проживающим в регионах

Результаты социологического исследования

Международный центр по конфликтам и переговорам (ICCN)

2010

Данное социологическое исследование проведено по программе Международного Центра по Конфликтам и Переговорам «Усиление гражданского общества и интеграция меньшинств», поддержанного международной организацией EED.

Исследование ставило задачей определение того, как оценивает население, проживающее в различных регионах Грузии межэтнические и межрелигиозные отношения на сегодняшний день.

Исследование проводилось в 5 регионах (в городах и близлежащих селах): Болниси, Марнеули, Ахалцихе, Хашури, Ахалкалаки. Всего было опрошено 1100 человек.

Время проведения исследования – лето 2009 года.

На различных этапах исследования вместе с сотрудниками ICCN Гиоргием Нижарадзе и Наной Берекашвили участвовали психологи: Луиза Арутюнова со своей исследовательской группой (организация исследования, сбор информации) и Елена Чомахидзе (Обработка информации и анализ) Автором окончательной версии текста так же является Елена Чомахидзе.

Полный текст написан на грузинском языке, хотя выводы предложены также на русском и английском языках.

**პონფლიქტებისა და მოლაკარაკებების საერთაშორისო
კვლევითი ცენტრი**

**საქართველოში არსებული ეროვნებათშორისი და
რელიგიათშორისი ურთიერთობების
შეზასხვა რეგიონების მოსახლეობის მიერ**

სოციოლოგიური კვლევის შედეგები

**თბილისი
2010**

შპსავალი

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა იმის გარკვევას, თუ როგორ აფასებს საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა ეროვნებათშორისი და რელიგიათშორისი ურთიერთობების სფეროში ქვეყანაში არსებულ მდგრმარეობას.

გამოკვლევის მეთოდების შეფასებისას ვხელმძღვანელობდით ორი კრიტერიუმით: (ა) შედეგების სიზუსტე და (ბ) გამოკვლევის დირექტულება. ეს კი ნიშნავდა, რომ საჭირო იყო:

1. გამოკვლევის შესაძლო ალტერნატიული სქემების განხილვა და მათი ვალიდურობისა და სანდოობის განსაზღვრა, რათა გამოკვლევა ყოფილიყო ეფექტური, ხოლო მისი ლოგიკა – დასახული მიზნის შესაბამისი;
2. თითოეული ამ სქემის დირექტულების განსაზღვრა.

რაც შეეხება გამოკვლევის ტაქტიკას, დასმული მიზნიდან გამომდინარე (რომელმაც განსაზღვრა გამოკვლევის სტრატეგია), ვცდილობდით მთავარი ამოცანის (მიზნის) დაყოფას უფრო მცირე, სამუშაო ამოცანებად და კვლევის შესაბამისი მეთოდების შემუშავებას, ზემოაღნიშნული ორი ძირითადი კრიტერიუმიდან გამომდინარე კვლევის მეთოდების შერჩევის შემდეგ დგება გამოსაკითხი რესპონდენტების არჩევისა და რაოდენობის განსაზღვრის, ანუ შერჩევის დაკომპლექტების პრინციპების დადგენის საკითხი. როგორც ცნობილია, არსებობს შერჩევითი ერთობლიობის დაკომპლექტების ოთხი ძირითადი გზა, რომელთაგანაც მხოლოდ ერთის – შემთხვევითი ტიპის შერჩევის – საფუძველია საკმარისად შემუშავებული, სხვა დანარჩენი გზა კი ხშირ შემთხვევაში ემპირიულად შესამოწმებელი ხდება.

ცხადია, რომ კარგი შედეგების მიღება ბეჭრად არის დამოკიდებული გამოყენებულ კითხვარზე. აქედან გამომდინარე, საჭირო იყო:

- ისეთი მეთოდების შერჩევა, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა, საჭირო ინფორმაცია მიგვეღო მინიმალურ დროში, რათა რესპონდენტებს არ გასჩენდათ განცდა, რომ მათ ბეჭრ დროს ართმევე;
- კითხვების ისეთი ფორმით ჩამოყალიბება, რომ რესპონდენტს გასჩენოდა განცდა, რომ მას რჩევას ეკითხებიან, რაც აგრეთვე აუმჯობესებს შედეგს;
- კითხვების ჩამოყალიბება მარტივი და გასაგები ენით, “გამაღიზიანებელი” და “სპეციალური” სიტყვების გამოუყენებლად;
- ე. წ. “დატვირთული”, “ორლულიანი”¹ კითხვების ცნობილი ეფექტის გათვალისწინება და, შესაბამისად, ასეთი კითხვების გამორიცხვა გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად;
- კითხვათა ორაზროვანი წაკითხვის გამორიცხვა – საკმარისი არ არის კითხვა ჩამოყალიბით ისე, რომ შეიძლებოდეს მისი გაგება; კითხვა უნდა დაისვას ისე, რომ მისი ვერგაგება შეუძლებელი იყოს;
- კითხვების ისე ჩამოყალიბება, რომ ინტერვიუერის ჩართვის საჭიროება მინიმუმდე იქნება დაყვანილი – შედეგზე ინტერვიუერის პიროვნების ცნობილი გავლენის შესამცირებლად.

1 ამ ეფექტის ნათელსაყოფად მივმართოთ მარტივ მაგალითს. ვთქვათ, რესპონდენტს უხვამეს კითხვას: “როგორ აფასებთ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციას?” როგორც გხედავთ, ამ შემთხვევაში რესპონდენტს მოჰთხოვება ორი სხვადასხვა რამის შეფასება; ამდენად, გაუგებარია, რას შეაფახებს იგი: პოლიტიკურ სიტუაციას თუ ეკონომიკურს.


გათვალისწინებული იყო ის გარემოება, რომ, ჯერ ერთი, და ტიპის კითხვა, როგორც წესი, კარგ შედეგს იძლევა მაღალი ინტელექტუალური დონის მქონე რესპონდენტთა გამოკითხვისას. მეორეც, და კითხვა მნიშვნელოვნად ართულებს პასუხთა ფორმალიზების პროცედურას და საკმაოდ ხშირად წარმოქმნის დამატებითი, დამაზუსტებელი კითხვის დასმის საჭიროებას. სწორედ ამიტომ კითხვარის შემუშავებისას ვცდილობდით, შეძლებისამებრ გამოგვეყნებინა დახურული ან შერეული ტიპის კითხვები, ანუ კითხვები შესაძლო პასუხების ჩამონათვალით, რომელთაგანაც რესპონდენტი ირჩევს მისი აზრის ამსახველ პასუხს (პასუხებს). როგორც ცნობილია, ასეთი ტიპის კითხვა მნიშვნელოვნად ამცირებს გამოკითხვის დროს, ამარტივებს პასუხების რეგისტრაციისა (რესპონდენტთა დროის ეკონომიასთან ერთად) და მონაცემთა დამუშავების პროცედურებს. მაგრამ, ამასთანავე, მნიშვნელოვნად იზრდება შემთხვევითი პასუხების რისკი და, რაც მთავარია, გამორიცხული არ არის ე.წ. “კარნასის” ცნობილი ეფექტი. ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში, სადაც ეს აუცილებელი იყო, გამოყენებული იქნა კითხვის დასმის დია ფორმა, რომელზეც თავისუფალი პასუხები მიიღება. ამ შემთხვევაში გამორიცხულია “ნაკარნახევი” ან რაიმე ასოციაციით გამოწვეული პასუხები, რაც მრავალმხრივი და დეტალური ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა და არსებითად აფართოებს მონაცემთა თვისებრივი ანალიზის შესაძლებლობას, თუმცა, რადა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად ართულებს პასუხთა ფორმალიზების პროცედურას. იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც ითქვა, კითხვის დია ფორმის გამოყენებისას საკმაოდ ხშირად წარმოიქმნება დამატებითი კითხვის დასმის საჭიროება, კითხვარში ჩართული იქნა დამაზუსტებელი კითხვებიც. აქვე უნდა ითქვას, რომ ყავლა შემთხვევაში ძირითად და დამაზუსტებელ კითხვებს შორის ჩასმული იყო სხვა კითხვები – ისევ “ნაკარნახევი” პასუხების თავიდან ასაცილებლად.

სანდოობის ასამაღლებლად გამოკითხვა ანონიმურად ჩატარდა. რესპონდენტებს ვთხოვეთ მხოლოდ სქესის, ასაკის, განათლების, ეროვნებისა და სარწმუნოების მითოთება. მონაცემები დამუშავდა მათემატიკური სტატისტიკის კომპიუტერულ პროგრამათა პაკეტის (SPSS) მეშვეობით. მიღებული შედეგების სტატისტიკური დამუშავებისას პასუხთა განაწილების შემოწმებისა და ურთიერთშედარებისათვის გამოყენებულ იქნა პირსონის χ^2 კრიტერიუმი, ხოლო ცალკეული ქვეჯგუფების საშუალო არითმეტიკულით გამოხატული საშუალო მაჩვენებლებისა – სტიუდენტის t კრიტერიუმი.

სულ გამოკითხული იქნა 1100 პირი (იხ. ნახ. 1-6). კვლევა ჩატარდა ხუთ რაიონში (რაიონული ცენტრი და მიმდებარე სოფლები): ბოლნისი, მარნეული, ხაშური, ახალციხე და ახალქალაქი. ამ რაიონების შერჩევა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ხაშურში მოსახლეობის უმრავლესობა ქართველია, ახალქალაქში – სომები, ხოლო მარნეულში – აზერბაიჯანელი. ბოლნისში ცხოვრობენ, ძირითადად, ქართველები და აზერბაიჯანელები, ახალციხეში კი – ქართველები და სომები.


გამოკითხვა ჩატარდა 2009 წლის ივლისში.

მონაცემები რესპონდენტთა შესახებ




ნახ. 1

სქიზი




ნახ. 2


ახავი




ნახ. 3



ნახ. 4



6385



69b. 6

1. ეროვნებათშორისი და რელიგიათშორისი ურთიერთობების შეფასება

კითხვარის პირველი კითხვის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ როგორ აფასებენ რესპონდენტები ეროვნებათშორის ურთიერთობებს საქართველოში. პასუხების განაწილება კითხვაზე – “როგორ აფასებთ საქართველოში შექმნილ ეროვნებათშორის ურთიერთობებს?” წარმოდგენილია მე-7 ნახატზე. როგორც ვხედავთ, გამოკითხულ პირთა 52%-ის შეფასება დადგებითია; 34%-ს მიაჩნია, რომ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ხოლო რესპონდენტთა 12%-ს შეფასება უარყოფითია. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ 3%-ს გაუჭირდა, ანუ ამ საკითხზე უმრავლესობას ჩამოყალიბები აზრი გააჩნია.

დემოგრაფიული ნიშნების მიხედვით გამოყოფილი ქვეჯგუფების მონაცემები ასახულია ნახ. 7-13. როგორც მასალის დამუშავებამ აჩვენა (ეს გრაფიკებზეც ნათლად აისახა), გენდერული განსხვავება ამ საკითხზე არ აღინიშნება ($\chi^2=8.007$; $p=0.526$). განსხვავება არც ასაკისა ($\chi^2=1.747$; $p=0.626$) და განათლების დონის ($\chi^2=17.157$; $p=0.144$) მიხედვით დასტურდება. სურათი, არსობრივად, ემთხვევა ზოგადს. მაგრამ გამოვლინდა განსხვავება საცხოვრებელი ადგილის ($\chi^2=81.584$; $p=0.000$), ეროვნებისა ($\chi^2=76.894$; $p=0.000$) და სარწმუნოების ($\chi^2=85.918$; $p=0.000$) მიხედვით გამოყოფილ ქვეჯგუფებს შორის. კერძოდ, ეროვნული უმცირესობის (სომხებისა და აზერბაიჯანელების) წარმომადგენელთა აზრი აშკარად განსხვავდება ქართველთა აზრისაგან: ამ უკანასკნელთა შორის მეტია იმ პირთა რიცხვი, ვინც არსებულ მდგომარეობას (ეროვნებათშორის ურთიერთობათა თვალსაზრისით) უარყოფითად აფასებს.

ანალოგიურია სურათი სარწმუნოების მიხედვით გამოყოფილ ქვეჯგუფებში, რაც მოსალოდნელი იყო, ვინაიდან გამოკითხულ აზერბაიჯანელთა დიდი უმრავლესობა მუსლიმია, სომებთა – გრიგორიანელი, ხოლო ქართველთა – მართლმადიდებელი. ამიტომ შემდგომში, ტექსტი რომ არ გადავტვირთოთ, შედეგი წარმოდგენილია მხოლოდ ეროვნების ნიშნით.


რაც შეეხება სურათს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, უარყოფითი შეფასება ყველაზე მეტია ხაშურში, ანუ ისევ ქართველების მხრიდან.

ამრიგად, თუ განვაზოგადებთ მიღებულ შედეგს, შეიძლება ითქვას, რომ გამოკითხულ პირთა უმრავლესობა ეროვნებათშორის ურთიერთობათა თვალსაზრისით საქართველოს არსებულ მდგომარეობას აფასებს, როგორც დადგების ან დამაკმაყოფილებელს. სომხებსა და აზერბაიჯანელებთან შედარებით ქართველებს შორის მეტია იმ პირთა რიცხვი, ვინც ამ კუთხით არსებული მდგომარეობა უარყოფითად შეაფასა. ამასთანავე, ამ საკითხზე თითქმის ყველას² ჩამოყალიბებული აზრი გააჩნია.


მეორე კითხვის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ როგორ აფასებენ გამოკითხული პირები სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფებს შორის არსებულ ურთიერთობებს. მიღებული შედეგი წარმოდგენილია მე-14 ნახატზე. როგორც ვხედავთ, გამოკითხულ პირთა 42%-ის შეფასება დადგებითია, 36%-ს მიაჩნია, რომ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ხოლო რესპონდენტთა 16%-ს შეფასება უარყოფითია. ამ შემთხვევაშიც ძალიან მცირეა (5%) იმ პირთა რიცხვი, ვისაც ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა, ანუ ამ საკითხზეც უმრავლესობას ჩამოყალიბებული შეხედულება აქვს.

² განზოგადებული მაჩვენებელი 5%-ს არ აღემატება, ანუ შეიძლება გამონაკლისად მივიჩნიოთ.


როგორ აზასებთ საქართველოში ეროვნებათშორის ურთიერთობებს?




ნახ. 7




ნახ. 8




ნახ. 9




6ახ.10



6ახ.11



6ახ. 12



6ახ. 13


ისევ არ დასტურდება განსხვავება დემოგრაფიული ნიშნების მიხედვით გამოყოლ ქვეჯგუფებს შორის, ანუ სქესის ($\chi^2=2.375$; $p=0.498$), ასაკისა ($\chi^2=6.423$; $p=0.208$) და განათლების დონის ($\chi^2=8.057$; $p=0.187$) მიხედვით (იხ. ნახ. 15-19). სურათი, არსობრივად, კმთხვევა ზოგადს. ამასთანავე, განსხვავება ეროვნებისა ($\chi^2=196.637$; $p=0.000$) და საცხოვრებელი ადგილის ($\chi^2=172.650$; $p=0.000$) მიხედვით ისევ სტატისტიკურად სანდოა. რაც მთავარია, მიღებული სურათი დაახლოებით ისეთივეა, როგორც პირველ კითხვაზე მიღებული. სახელდობრ, როგორც ეს მე-18 და მე-19 წახატებიდან ჩანს, უარყოფითი შეფასება ქართველების (განსაკუთრებით – ხაშურელების; ამ ქვეჯგუფში ყველა გამოკითხული პირი ქართველია) მხრიდან გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის. გარდა ამისა, შედარებით მაღალია ბოლნისის მაჩვენებელი, სადაც რესპონდენტთა ნახევარი ქართველია (იხ. ნახ. 6).


ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ უმრავლესობა რელიგიათშორის ურთიერთობათა თვალსაზრისით საქართველოს არსებულ მდგომარეობას აფასებს, როგორც დადებითს ან დამაკმაყოფილებელს. სომხებსა და აზერბაიჯანელებთან შედარებით ქართველებთა შორის უარყოფითი შეფასება უფრო ხშირია. ამასთანავე, ამ საკითხზე უმრავლესობას ჩამოყალიბებული აზრი გააჩნია.

ამ ორ კითხვაზე (ეროვნებათშორისი და რელიგიათშორისი ურთიერთობების შეფასება) პასუხებთა განაწილების შედარებამ განსხვავების არარსებობა დაადასტურა ($\chi^2=7.259$; $p=0.168$). ეს კი ნიშნავს, რომ ეროვნებათშორისი და რელიგიათშორისი ურთიერთობები, ფაქტობრივად, გაიგივებულია. უნდა ითქვას, რომ არც ესაა, ალბათ, გასაკვირი. ქართველებს შორის საკმაოდ ღრმადაა ფესვგადგმული სტერეოტიპი, რომლის თანახმადაც საქართველო სარწმუნოებამ (იგულისხმება მართლმადიდებლობა) იხსნა.

2004 წელს ჩატარებულმა ემპირიულმა კვლევამ დაადასტურა, რომ ქართველების უმრავლესობა ეთნიკურ და რელიგიურ ნიშნებს, ანუ ქართველობასა და მართლმადიდებლობას, მართლაც აიგივებს. იმ ეთნიკურ ქართველთა მიმართ, ვინც მართლმადიდებელი არ არის ან აღმსარებლობა შეიცვალა (ანუ სხვა დენომინაციებისა და სექტების მიმდევრების) გამოვლინდა შეუწყნარებელი, მტრული დამოკიდებულება; ისინი საზოგადოების უმრავლესობის მიერ გარიყელი არიან [1; 2]. როგორც ჩანს, ასევე გაიგივებულია “აზერბაიჯანელობა” მუსლიმობასთან, ხოლო “სომხობა” – გრიგორიანელობასთან (ყოველ შემთხვევაში – საქართველოში მცხოვრებთა შორის).

**ორგორ აზასებთ საქართველოში სხვადასხვა რწმენის მძღვე ჯგუფებს
შორის შექმნილ ურთიერთობებებს?**





ნახ. 19

ბუნებრივად იბადება კითხვა იმის შესახებ, თუ რა იწვევს ეროვნებათშორისი და რელიგიათშორისი ურთიერთობების თვალსაზრით საქართველოში არსებული მდგომარეობის უარყოფით შეფასებას. ამ კითხვაზე გარკვეულ ინფორმაციას გვაძლევს კითხვარის მომდევნო კითხვაზე გაცემული პასუხები. კითხვა დაისვა შემდეგნაირად: გამენიათ თუ არა უპატივცემულო გამონათქვამები თქვენი ეროვნების ხალხის, ტრადიციების ან ენის მისამართით საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების მოქალაქეებისგან? მიღებული შედეგი წარმოდგენილია ნახ. 20-25.

როგორც მე-20 ნახატიდან ჩანს, გამოკითხულ პირთა ნახევარი ამბობს, რომ ეროვნული ნიშნით ჩაგრის ფაქტის შესახებ არც კი სმენია. ისინი, ვინც აღნიშნავენ, რომ ასეთი რამ ხშირად ხდება, აშკარად უმცირესობაში არიან – 10%. რესპონდენტთა დაახლოებით ერთი მეხუთედი (22%) აღნიშნავს, რომ ეს იშვიათად ხდება. ისევ არ გამოვლინდა განსხვავება დემოგრაფიული ნიშნების მიხედვით გამოყოფილ ქვეჯგუფებს შორის, ანუ სქესის ($\chi^2=5.830$; $p=0.120$), ასაკისა ($\chi^2=12.093$; $p=0.208$) და განათლების დონის ($\chi^2=9.217$; $p=0.348$) მიხედვით (იხ. ნახ. 21-25). სურათი, არსობრივად, ისევ ემთხვევა ზოგადს. რაც შეეხება ეროვნებასა და საცხოვრებელ ადგილს, განსხვავება სტატისტიკურად სანდოა ($\chi^2=47.946$; $p=0.000$ და $\chi^2=50.235$; $p=0.000$ შესაბამისად). აქაც მთავარი განსხვავება ისაა, რომ ქართველთა შორის შედარებით ნაკლებია იმ პირთა რიცხვი, ვინც მიუთითებს, რომ ეროვნული ნიშნით ჩაგრის ფაქტების შესახებ არც კი სმენია.


ამრიგად, გამოკითხულ პირთა ნახევარი ეროვნული ნიშნით ჩაგრის ფაქტებს უარყოფს, ნაწილს ამის შესახებ მხოლოდ სმენია. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ უმრავლესობა არსებულ მდგომარეობას აფასებს, როგორც დადგებითს ან დამაკმაყოფილებელს. ცხადია, რომ სხვა მიზეზებიც უნდა არსებობდეს. ამ საკითხს ქვემოთ კიდევ ერთხელ შევეხებით.

ახლა კი განვიხილოთ კიდევ ერთი საყურადღებო შედეგი. როგორც უკვე დავრწმუნდით, არ აღინიშნება განსხვავება სქესის, ასაკისა და განათლების დონის მი-


ხედვით, თუმცა განსხვავება ეროვნების, სარწმუნოებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სტატისტიკურად სანდოა. ამას დავუმატოთ ისიც, რომ ზუსტად ასეთივეა სურათი კითხვარის ყველა კითხვის შემთხვევაშიც. ეროვნებისა და სარწმუნოების ნიშნებით შედეგების დამთხვევის ფაქტის ახსნა უკვე ვცადეთ. რაც შეეხება საცხოვრებელ ადგილს, აქაც შედეგს, ფაქტობრივად, ეროვნული კუთვნილება განსაზღვრავს: ამის გათვალისწინებით, ქვემოთ შედეგები წარმოდგენილია მხოლოდ ეროვნული ნიშნით გამიჯნული ქვეჯუფების მიხედვით, მთ უფრო, რომ წინამდებარე კალევის მიზნებიდან გამომდინარე, ასეთი მიდგომა ისედაც უფრო მიზანშეწონილია.

მაგრამ რატომ არ აღინიშნება განსხვავება სქესის, ასაკისა და განათლების დონის მიხედვით ცალკეული ეთნიკური ჯგუფების შიგნით? გარდა ამისა, აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი: უმეტეს შემთხვევაში აზერბაიჯანელთა და სომებთა ჯგუფების პასუხების განაწილებას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ დასტურდება. ამრიგად, ჩნდება, ფაქტობრივად, ორი კითხვა: ჯერ ერთი, რატომ ხდება ისე, რომ ერთ შემთხვევაში ადამიანი მოქმედებს აზროვნებს, გრძნობს, როგორც უნიკალური, განუმეორებელი პიროვნება, მეორეში კი – როგორც რაღაც მთლიანის უნიფიცირებული, უპიროვნო ნაწილი? მეორე, რატომ არ დასტურდება, ფაქტობრივად, არსებითი განსხვავება აზერბაიჯანელთა და სომებთა შეხედულებებს შორის?


შოუიღა თუ არა შემთხვევა, რომ გსმენიათ უკატივცემულო გამონათქვამები თქვენი ეროვნების ხალხის, ტრადიციების ან ენის მისამართით საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების მოქალაქეებისგან?




ნახ. 20




ნახ. 21




ნახ. 22



ნახ. 23



ნახ. 24



ნახ. 25

ამ კითხვებზე პასუხის ერთ-ერთ ვარიანტს (საქმაოდ დამაჯერებელს, თანაც დიდ ექსპერიმენტულ მასალაზე დადასტურებულს) გვთავაზობს ევროპული სოციალური ფინანსურისა, აქტორის, სოციალური იდენტურობის თეორია (ა. ტეჯოველი, ჯ. ტერნერი და სხვ.) [3; 4] მოკლედ განვიხილოთ ამ თეორიის ძირითადი დებულებები.

ტეჯოველის აზრით, ურთიერთქმედების პიროვნებათშორისი და ჯგუფთაშორისი ფორმები ქმნის ერთიან ბიპოლარულ კონტინუუმს, რომელზეც შეიძლება სოციალური ქცევის ყველა შესაძლო ვარიანტის განლაგება. ერთი პოლუსი არის მხოლოდ პიროვნებათშორისი და ინდივიდუალური მასასიათებლებით განსაზღვრული ურთიერთქმედება, რომელზეც არ ახდენს გავლენას სხვადასხვა სოციალური კატეგორიისადმი კუთვნილება. მეორე პოლუსზე განლაგებულია ადამიანის ის ურთიერთქმედება, რომელიც მთლიანად დეტერმინირებულია ჯგუფური კუთვნილებით და რომელზეც გავლენას არ ახდენს ინდივიდუალური ურთიერთობები და მასასიათებლები. ცხოვრებაში კონტინუუმის პოლუსთან მიახლოებული სიტუაცია საკმარისად იშვიათია; პოლუსებთან მიახლოების მაგალითია შეყვარებულთა ინტიმური საუბარი, ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი – კონფლიქტი პოლიტიკურებსა და პიკეტში მონაწილე ადამიანებს შორის.

პიროვნების “მე-კონცეფცია” შეიძლება იქნეს წარმოდგენილი, როგორც შესაბამის პირობებში ქცევის რეგულატორის როლის შემსრულებელი კოგნიტური სისტემა. ის შეიცავს ორ დიდ ქეთესისტემას: პიროვნულ იდენტობასა და სოციალურ იდენტობას. პირველი ნიშნავს თვითგანსაზღვრებას ფიზიკურ, ინტელექტუალურ და ზნეობრივ პიროვნულ თვისებათა ტერმინებით. მეორე ქვესისტემა – სოციალური იდენტობა – ყალიბდება სხვადასხვა იდენტიფიკაციისაგან და განისაზღვრება ადამიანის სხვადასხვა სოციალური კატეგორიებისადმი კუთვნილებით: ეროვნება, სქესი და ა.შ.

სოციალური იდენტობის თეორიის უმნიშვნელოვანესი დებულებები ჩამოყალიბებულია შემდეგი პოსტულატების სახით:

1. სოციალური იდენტობა შეიცავს “მე”-ს იმ ასპექტებს, რომლებიც გამომდინარეობს ინდივიდის მიერ საკუთარი თავის გარკვეული სოციალური ჯგუფების წევად აღქმიდან.
2. ინდივიდი მიისწოდება თვითშეფასების შენარჩუნების ან ამაღლებისაკენ, ანუ დადებითი “მე-ხატისაკენ”.
3. სოციალური ჯგუფები და მათი წევრობა უკავშირდება საზოგადოებაში არსებულ დადებით ან უარყოფით შეფასებას. მაშასადამე, სოციალური იდენტობა შეიძლება დადებითი ან უარყოფითი იყოს. ამ პოსტულატებიდან გამომდინარეობს ურთიერთდაკავშირებული შედეგების მთელი რიგი, სახელდობრ:
 - 3.1. ინდივიდი მიისწოდება დადებითი სოციალური იდენტობის მიღწევის ან ამაღლებისაკენ.
 - 3.2. პოზიტიური სოციალური იდენტობა ეფუძნება, ძირითადად, შიდა ჯგუფისა და რამდენიმე რელევანტური გარე ჯგუფის ხელსაყრელ შედარებას: შიდა ჯგუფი უნდა აღიქმებოდეს, როგორც რელევანტური ჯგუფებისაგან პოზიტიურად განსხვავებული.
 - 3.3. იმის გამო, რომ საკუთარი ჯგუფის პოზიტიური შეფასება უცილობლად გულისხმობს სხვა ჯგუფებთან შედარებას, ასეთი შედარებისათვის კი საჭიროა რაღაც განმასხვავებელი ნიშნების არსებობა, ჯგუფის წევრები ცდილობენ გამოყონ, გამიჯნონ საკუთარი ჯგუფი სხვა ნებისმიერი ჯგუფისაგან.
 - 3.4. კონკრეტულ სოციალურ სიტუაციაში ჯგუფთაშორის დიფერენციაციას განაპირობებს, სულ მცირე, შემდეგი:

ა) ინდივიდი უნდა აცნობიერებდეს ჯგუფის წევრობას, როგორც საკუთარი პიროვნების ერთ-ერთ ასპექტს, მოახდინოს თავისი თავის იდენტიციფირება მისთვის რელევანტურ ჯგუფთან.

ბ) სოციალური სიტუაცია უნდა იყოს ისეთი, რომ ადგილი ჰქონდეს ჯგუფთაშორის შედარებას, რათა შეიქმნას რელევანტური ნიშნების არჩევისა და შეფასების შესაძლებლობა.

ასეთია სოციალური იდენტობის მირითადი მახასიათებლები. სოციალური და პიროვნული იდენტობა ერთიან კოგნიტურ სისტემას – “მე-კონცეფციას” ქმნის. სხვადასხვა სიტუაციასთან შესაბუქებლად “მე-კონცეფცია” არეგულირებს ადამიანის ქცევას ისე, რომ ცნობიერებაში უფრო გამოხატულია ან სოციალური, ანდა პიროვნული იდენტობა. თვითცნობიერებაში სოციალური იდენტობის წინ წამოწევას მოჰყვება პიროვნებათშორისი ქცევიდან ჯგუფთაშორისზე გადასვლა. “მე-კონცეფციში” წინა პლანზე სოციალური იდენტობის წამოწევის კალობაზე პიროვნება აღიქვამს საკუთარ თავსა და თავისი ჯგუფის წევრებს, როგორც საერთო, ტიპობრივი მახასიათებლების მატარებლებს. სწორედ ეს მახასიათებლები განსაზღვრავს ჯგუფს, როგორც მთლიანობას. სიტუაცია, რომელსაც მოჰყვება სოციალური იდენტობის წინა პლანზე წამოწევა, ანუ გარკვეული ჯგუფის წევრობის განცდის აქტუალიზება, გადაანაცვლებს ქცევას კონტინუუმის ჯგუფთაშორისი პოლუსისაკენ, იმ წერტილისაკენ, სადაც განსხვავება საკუთარ თავსა და ჯგუფის სხვა წევრებს შორის პრაქტიკულად ქრება. ამასთანავე, როგორც ეს ჯ. ტერნერმა აჩვენა, თვითკატეგორიზაციის პიროვნულ და სოციალურ დონეებს შორის უკუკავშირი არსებობს: ჯგუფური იდენტობის აქტუალიზება უცილობლად “ამუსრუჭებს” პიროვნული იდენტობით განპირობებულ განწყობება და ქცევას და, პირიქით, პიროვნული იდენტობა თრგუნავს სოციალური იდენტობის “ეფექტებს”.

ნებისმიერ ფაქტორს, რომელიც აძლიერებს შიდაჯგუფური-ჯგუფთაშორისი თვითკატეგორიზაციის გამოხატულებას, მოჰყვება საკუთარი თავისა და საკუთარი ჯგუფის იდენტობის განცდის გაძლიერება და, ამდენად, ინდივიდუალური თვითადეჭმის დეპერსონალიზაცია (სწორედ ამის გამო ტერნერმა კონცეფციის საკუთარ გარიანტს “დეპერსონალიზაციის კონცეფცია” უწოდა). დეპერსონალიზაცია ეხება “თვითკატეგორიზაციის” პროცესს, რომლის მეშვეობითაც ადამიანი აღიქვამს საკუთარ თავს უფრო სოციალური კატეგორიის “ეგზემპლარად”, ვიდრე უნიკალურ პიროვნებად. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ დეპერსონალიზაცია, დეინდივიდუალიზაციისაგან განსხვავებით, ნიშნავს არა ინდივიდუალური იდენტობის დაკარგვასა და ჯგუფში “გათქვეფას”, არა-მედ უფრო პიროვნული იდენტობიდან სოციალურზე გადასვლას, ანუ თვითკატეგორიზაციის მოქმედებას აბსტრაქციის უფრო მაღალ დონეზე.

აქვე ადსანიშნავია ისიც, რომ ბიპევიორისტულ-ინდივიდუალისტურ თეორიებთან მუდმივი ჭიდილის პროცესში განვითარებული ჯგუფთაშორისი ურთიერთობების შესწავლის ტრადიცია კოგნიტურ ფსიქოლოგიაში დაჟინებით აროტესტებს ჯგუფური ქცევის შეფასებას, როგორც უფრო პრიმიტიულისა, პიროვნების, როგორც ჯგუფის წევრის, დაპირისპირებას თვითაქტუალიზებულ პიროვნებასთან, რომელიც თითქოსდა არავისზე და არაფერზე დამოკიდებული არ არის. ტეჯფელ-ტერნერის კონცეფციის პათოსი სწორედ იმის აღიარებაა, რომ სოციალურ რეალობასთან შეგუების პროცესში ჯგუფთაშორისი ურთიერთობების გათვალისწინება არანაკლებად (თუ მეტად არა) მნიშვნელოვანია, ვიდრე პიროვნებათშორისი ურთიერთობებისა.

ჩვენი კითხვარი ხელს უწყობდა სწორედ სოციალური, ანუ ეროვნული თუ რელიგიური, კუთვნილების წინა პლანზე წამოწევას, გარკვეული ეთნიკური, იგივე რელიგიური, ჯგუფის წევრობის განცდის აქტუალიზებას, რამაც მნიშვნელოვნად დათრგუნა პიროვნული იდენტობის “ეფექტები”, ანუ საკუთარი თავის, როგორც უნიკალური პიროვნების, აღქმა. შესაბამისად, გენდერული, ასაკობრივი თუ სხვა სახის განსხვავება ეთნიკური ჯგუფის შიგნით წაიშალა.

რაც შეეხება იმას, რომ განსხვავება, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არც სომხებისა და აზერბაიჯანების ჯგუფების შორის გამოვლინდა, შეიძლება ვიგარაუ-

დოთ, რომ ამ შემთხვევაში ადგილი პქონდა თვითკატეგორიზაციის მოქმედებას აბსტრაქციის კიდევ უფრო მაღალ დონეზე: ორივე ეთნიკური ჯგუფი საქართველოში ეთნიკური უმცირესობის კატეგორიას განეკუთვნება, ამიტომ ეთნიკურ უმრავლესობასთან შეპირისპირების ხელშემწყობ სიტუაციაში მოხდა ეთნიკური უმცირესობის კატეგორიისადმი კუთვნილების განცდის აქტუალიზაცია, რამაც დათრგუნა ეროვნული იდენტობის “ეფექტები”, ანუ საკუთარი თავის, როგორც გარკვეული ეთნიკური ჯგუფის წევრის, ადქმა.

ბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიღებულმა შედეგმა კიდევ ერთხელ ემპირიულად დაადასტურა, რომ პიროვნულ და ჯგუფურ საწყისებს შორის უკუკავშირი და რეციპროკული ურთიერთობა არსებობს.

2. ეროვნული და რელიგიური ტოლერანტობა

კითხვარის შემდეგი ბლოკი მიზნად ისახავდა საქართველოს ეთნიკური (იგივე რელიგიური) უმრავლესობის – ქართველებისა და ეთნიკური უმცირესობის ორი წარმომადგენლის – სომხებისა და აზერბაიჯანელების – ეთნიკური (რელიგიური) ტოლერანტულობის შესწავლას. ამ ბლოკის პირველი კითხვა (კითხვარის მე-11 კითხვა) მიზნად ისახავდა ეთნიკური (იგივე რელიგიური) უმცირესობის მიმართ დამოკიდებულების, ანუ დისპოზიციური განწყობის, დადგენას. ამისათვის შემუშავდა განწყობის საკვლევი (ლაიკერტის ტიპის) 4-საფეხურიანი სკალა, რომელიც შეიცავდა როგორც დადგებითი, ისე უარყოფითი დამოკიდებულების ამსახველ 3-3 დებულებას. სახელდობრ:

1. საქართველო არის სამშობლო აქ მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფისთვის.
2. ეთნიკური მრავალფეროვნება ქვეყანას კულტურულად უფრო მდიდარსა და საინტერესოს ხდის.
3. ეთნიკური უმცირესობები დამატებით პრობლემებს ქმნიან და სახელმწიფო სათვის წარმომადგენებ პოტენციური, ზოგჯერ კი რეალური საფრთხის წყაროს.
4. როდესაც ვარჩევთ, თუ ვისთან ვიმეგობროთ ან ვისთან შევქმნათ ოჯახი, მთავარია ადამიანური თვისებები, ხოლო ეთნიკურ და რელიგიურ მომენტებს მეორებარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.
5. სასურველია სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების ასიმილირება (“გაქართველება”).
6. საქართველოში სატიტულო ერი (ქართველები) განსაკუთრებული პრივილეგიებით უნდა სარგებლობდეს.


პასუხის გასაცემად რესპონძენტი ირჩევდა ერთ პასუხს შემდეგი დიაპაზონიდან: “ვეთანხმები”, “ნაწილობრივ ვეთანხმები”, “მიჯირს პასუხის გაცემა” და “არ ვეთანხმები”. თითოეულ პასუხს მიეწერება შესაბამისი ქულა სკალის “გასაღების” შესაბამისად. კერძოდ, დადებითი დებულების გაზიარებისა და ნეგატიური დებულების უარყოფის შემთხვევაში ესაა მაქსიმალური ქულა, რომელიც ჩვენ შემთხვევაში 4-ის ტოლია და პირიქით: დადებითი დებულების უარყოფითი დებულების გაზიარების შემთხვევაში რესპონძენტი იღებს მინიმალურ ქულას, ანუ 1-ს. ამის შემდეგ ითვლება განზოგადებული მაჩვენებელი – ესაა ექსივე კითხვაზე მიღებული ქულის საშუალო მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს დამოკიდებულებას (დისპოზიციურ განწყობას) შესასწავლი მოვლენის (ჩვენს შემთხვევაში – ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობის მიმართ დამოკიდებულებას) მიმართ.

მაგრამ, ამასთანავე, ჩავთვალეთ, რომ თავისთავად ინფორმაციული და საინტერესო იქნებოდა ყველა ამ კითხვაზე მიღებული პასუხების განაწილების ცალკე წარმოდგენაც. მონაცემები მთლიანად შერჩევის მიხედვით წარმოდგენილია ნახ. 26-31. თუმცა, აქ ასახულია, ასე ვთქვათ, “გასაშუალებული” და, ამდენად, ნაკლებად რეალური სურათი (საშუალო მაჩვენებლის ეს თვისება ხომ კარგად არის ცნობილი). ამიტომ პირდაპირ განვიხილოთ ცალკეული ეთნიკური ჯგუფების მონაცემები.

ქართველების ქვეჯგუფის დამუშავებული მასალა წარმოდგენილია ნახ. 32-37. როგორც ვხედავთ, უმრავლესობა იზიარებს (70%) ან ნაწილობრივ იზიარებს (17%) აზრს, რომ საქართველო აქ მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის სამშობლოა. ამ აზრს არ ეთანხმება რესპონძენტთა მხოლოდ 13%. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემაზე თავი არავის შეუკავებია. 63% ეთანხმება და 19% ნაწილობრივ ეთანხმება მეორე დადებით დებულებას – “ეთნიკური მრავალფეროვნება ქვეყანას კულტურულად უფრო მდიდარსა და საინტერესოს ხდის”, არ ეთანხმება – 15%. მესამე დადებით და ყველაზე კატეგორიულ დებულებას (“როცა ვარჩევთ, თუ ვისთან ვიმეგობროთ ან ვისთან შევქმნათ ოჯახი, მთავარია ადამიანური თვისებები, ხოლო ეთნიკურ და რელიგიურ მომენტებს მეორებარისხოვანი მნიშვნელობა აქვს”) კი იზიარებს ან ნაწილობრივ იზიარებს კიდევ უფრო ნაკლები – შესაბამისად 54% და 12%. რესპონძენტთა ერთი მესამედი (33%), ანუ გაცილებით მეტი, ვიდრე პირველ ორ შემთხვევაში, ამ აზრს არ იზიარებს. მალიან მცირეა იმ პირთა რიცხვიც (2%), ვისაც ამ


საკითხეზე ჩამოყალიბებული შეხედულება არ გააჩნია. ამასთანავე, საქმაოდ მაღალია იმ პირთა რიცხვი, ვინც ეთანხმება ან ნაწილობრივ ეთანხმება – შესაბამისად 33% და 28% – უკეთაზე კატეგორიულ უარყოფით დებულებას – “ეთნიკური უმცირესობები დამატებით პრობლემებს ქმნიან და სახელმწიფოსათვის წარმოადგენს პოტენციური, ზოგჯერ კი რეალური საფრთხის წყაროს”. ამ შეხედულებას რესპონდენტთა მხოლოდ 36% არ იზიარებს. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა თითქოსდა იზიარებს აზრს იმის შესახებ, რომ “ეთნიკური მრავალფეროვნება ქვეყანას კულტურულად უფრო მდიდარსა და საინტერესოს ხდის”, მხოლოდ 37%-ს არ მიაჩნია, რომ “სასურველია სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა ასიმილირება” (ნახ. 40). ბოლოს, რესპონდენტთა მხოლოდ 25% არ თვლის, რომ “საქართველოში ქართველები განსაკუთრებული პრივილეგიებით უნდა სარგებლობდნენ”. ნათქვამს კიდევ ერთხელ დავამატოთ ის, რომ სქესის, ასაკის, განათლების ნიშნების მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ აღინიშნა.

საქართველო არის სამშობლო ან მცხოვრები ზოგადი ეთნიკური ჯგუფისათვის




ნახ. 26

ეთნიკური მრავალჯენომნია სპეციალისტთა პილტორიად უზრუნველყოფილობის და საინტერესოს ხდის




ნახ. 27

ეთნიკური უმცირესობები ძმინან დამატებით პრობლემებს და სახელმწიფოსთვის ზარმოადგენე კოტენციური, ზოგჯერ კი რეალური საცრონის წყაროს




ნახ. 28

როდესაც გარჩევთ, თუ ვისთან ვიმებობროთ ან ვისთან შევძლიათ ოჯახი, მთავარია ადამიანური თვისებები, ხოლო ეთნიკურ და რელიგიურ მომენტებს მეორებარისხოვანი მნიშვნელობა აძვს




ნახ. 29

სასურველია სხვა ეთნიკური ჯგუფების ზარმომაღენელთა ასიმილირება



ნახ. 30


საქართველოში ქართველები განსაკუთრებული პრივილეგიებით უნდა სარგებლობადნენ



ნახ. 31


ქართველები

საქართველო არის სამშობლო ან მცხოვრები ზოგადი ეთნოკულტურული ჯგუფისათვის




ნახ. 32

ეთნოკულტურული მრავალფეროვნება ქვეყანას კულტურულად უზრო მდიდარსა და საინტერესოს ხდის




ნახ. 33

ეთნოკულტურული უმცირესობები ქვეყნის დამატებით პოლიტენიკურ და სახელმწიფო უნივერსიტეტების შემთხვევაში არამოაღინები კოფერენციები, ზოგჯერ კი რეალური საზოგადოების წყაროს




ნახ. 34

როდენსაც ვარჩევთ, თუ ვისთან ვიმებობოთ ან ვისთან შეგვმიათ ოჯახი, მთავარია ადამიანური თვისებები, ხოლო ეთნიკურ და რელიგიურ მომენტებს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს




ნახ. 35

სასურველია სხვა ეთნიკური ჯგუფების ზარმომაღიერობა ასიმილაციას



ნახ. 36


საქართველოში ქართველები გასეაპუთრებული პრიზოლებისთვის უდია სარგებლობიდნო



ნახ. 37


სომხები

საქართველო არის სამშობლო ან მცხოვრები შველა ეთნიკური ჯგუფისათვის




ნახ. 38

ეთნიკური მრავალზეროვნება ქვეყანას კულტურულად უცრო მდიდარსა და საინტერესოს ხდის




ნახ. 39

ეთნიკური უმცირესობები ქმნიან დამატებით პრობლემებს და სახელმწიფოსთვის ზარმორადებენ კოტვეციური, ზოგჯერ კი რეალური საზოგადოების ზრარღვს




ნახ. 40

ოოზესაც ვარჩევთ, თუ ვისთან ვიმებობოთ ან ვისთან შეგძლიათ ოჯახი, მთავარია
ადამიანები თვისებები, ხოლო ეთნიკურ და რელიგიურ მომენტებს
მეორესარისხოვანი მიღვწეულობა აძვს




ნახ. 41

სასურველია სხვა ეთნიკური ჯგუფების ზარმომაღბენელთა ასიმილაცია



ნახ. 42


საქართველოში ქართველები ბასეაპუთრებული პრივილეგიებით უდა სარბებლობდნენ



ნახ. 43


აზერბაიჯანელები

საქართველო არის სამშობლო ან მცხოვრები ქვეყანა ეთნიკური ჯგუფისათვის




ნახ. 44

ეთნიკური მრავალუროვნება ქვეყანას კულტურულად უფრო მდიდარსა და საინტერესოს ხდის




ნახ. 45

ეთნიკური უმცირესობები ძმინან დამატებით პროგლობებს და სახელმწიფოსთვის ჟარმოადგენი კოტენიური, ზოგჯერ კი რეალური საცრთხის ღყაროს




ნახ. 46

როდესაც ვარჩევთ, თუ ვისთან ვიმებობროთ ან ვისთან შევძმნათ ოჯახი, მთავარია
ადამიანური თვისებები, ხოლო მთხიპურ და რელიგიურ მომენტებს
ხეორმესარისხოვანი მიმჯველობა აქვს




ნახ. 47

სასურველია სხვა ეთნიკური ჯგუფების ზარმომაღებელთა ასიმილაცია



ნახ. 48

საქართველოში ქართველები გაცემულობული პრივიტებისთვის უნდა სარგებლობაზე



ნახ. 49

ვფიქრობთ, რომ უკვე ეს მონაცემები (საკმაოდ წინააღმდეგობრივი) გვაძლევს უფლებას ჩავთვალოთ, რომ ქართველ რესპონდენტთა ეთნიკური ტოლერანტობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, გარკვეული საზღვრებით არის შემოფარგლული: კი, საქართველო ყველას სამშობლოა, მრავალფეროვნება კარგია, მაგრამ... ქართველებს მაინც მეტი პრივილეგია უნდა ჰქონდეს, კარგი იქნება, რომ ისინიც (არაქართველები) “გაქართველდნენ”, სახელმწიფოს ამით ნაკლები პრობლემა ექნება.

როგორც მოსალოდნელი იყო, სომები და აზერბაიჯანელი რესპონდენტების აზრი განსხვავდება ქართველების აზრისაგან. პირველ ორ დადებით დებულებას (“საქართველო აქ მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის სამშობლოა” და “ეთნიკური მრავალფეროვნება ქვეყანას კულტურულად უფრო მდიდარსა და საინტერესოს ხდის”) ორივე ჯგუფში თითქმის ყველა იზიარებს; (იხ. ნახ. 32-33, 38-39 და 44-45).

როგორც მოსალოდნელი იყო, სომები და აზერბაიჯანელი რესპონდენტების უმრავლესობას ასიმილირება სულაც არ სურს (70% და 75%); უმრავლესობას (70% და 75%) არ მიაჩნია, რომ ქართველებს განსაკუთრებული პრივილეგიები უნდა ჰქონდეთ (იხ. ნახ. 42-43 და 48-49). რაც მთავარია, აზრთა სხვაობა ამ ორ ჯგუფს შორის არ აღინიშნება.


თუ შევაჯამებთ უოგველივე ზემოაღნიშნულს, შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა დამოკიდებულება ეთნიკური უმრავლესობის მიმართ უფრო დადებითია, ვიდრე პირიქით. ამ ვარაუდს ადასტურებს დისპოზიციური განწყობის გამოთვლილი მაჩვენებლები. ქართველების მაჩვენებელი ($M=2.75$; $S=.609$) უფრო დაბალია, ვიდრე სომხებისა ($M=3.26$; $S=0.394$) და აზერბაიჯანელებისა ($M=3.23$; $S=0.348$). განსხვავება სტატისტიკურად სანდოა ($t=12.969$; $p=0.000$; $t=12.494$; $p=0.000$). სომხებისა და აზერბაიჯანელების დამოკიდებულება ერთნაირია (გავისხმოთ, რომ ამ შემთხვევაში მაჩვენებლის მაქსიმალური სიდიდე 4-ის ტოლია, მინიმალური კი – 1-სა).

როგორც ცნობილია, “ტოლერანტობის” ცნება დამოკიდებულების საკმაოდ ფართო დიაპაზონს მოიცავს – გამოხატულად მტრული დამოკიდებულების არარსებობიდან სხვა ეთნიკური (რელიგიური) ჯგუფის უფლებების (რწმენის თავისუფლების) სრულ აღიარება-პატივისცემამდე. ამ დიაპაზონში შეიძლება გამოიყოს ყველაზე მაღალი დონე – სრულიად მისაღები, ანუ მისაღები პირველადი ჯგუფის (ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი) დონეზე, მისაღები არაფორმალურ ურთიერთობათა დონეზე (მეგობარი, მეზობელი), მისაღები საქმიან ურთიერთობათა დონეზე. შემწყნარებელ-შეუწყნარებელი დამოკიდებულების მიჯნაა ნეიტრალური, თუ შეიძლება ასე ითქვას, დამოკიდებულების დონე: “ჩვენ ჩვენთვის, ისინი თავისთვის”. ბოლოს, შეუწყნარებელი დამოკიდებულების დონე: “მოწინააღმდეგა და კონკურენტი”.

ამ ბლოკის მე-2 კითხვის (კითხარის მე-10 კითხვა) მიზანი იყო დამოკიდებულების (დისპოზიციური განწყობის) შესწავლა სხვადასხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის მიმართ. კითხვა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: “ვინ არიან თქვენთვის ქვემოთ ჩამოთვლილი ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები?”. შესაძლო პასუხები: 1) მეზობელები და მეგობრები; 2) მოწინააღმდეგე და კონკურენტი; 3) ჩვენ ჩვენთვის, ისინი თავისთვის; 4) მიჭირს პასუხის გაცემა. რაც შეეხება დამოკიდებულებას პირველადი ჯგუფის (ოჯახის წევრი, ნათესავი) დონეზე, ამ საკითხს ცალკე განვიხილავთ. მიღებული შედეგი წარმოდგენილია ნახ. 50-52.


**306 არიან თქვენთვის შემორთ ჩამოთვლილი ეთნიკური ჯგუფების
ზარმომაღდელები?**

ჩართვებები




ნახ. 50

სომხები




ნახ. 51

აზერბაიჯანელები




ნახ. 52

აზერბაიჯანელთა და ქართველთა ურთიერთშევასება




ნახ. 53

სომხეთა და ქართველთა ურთიერთშევასება



ნახ. 54


სომხეთა და აზერბაიჯანელთა ურთიერთშევასება



ნახ. 55


306 არიან თქვენთვის შემოთხული ეთნიკური ჯგუფების
ყარაღლების დაცვისას?

აზერბაიჯანელი




ნახ. 56

სომები




ნახ. 57

ქართველი




ნახ. 58

ქართველი




ნახ. 59

სომხები



ნახ. 60

აზერბაიჯანელი



ნახ. 61

როგორც ვხედავთ, ყველა ჯგუფში შეუწენარებელი დამოკიდებულების (“მოწინააღმდეგა და კონკურენტი”) სიხშირე ძალიან დაბალია. ყველაზე მაღალი სიხშირე გამოვლინდა ქართველების ჯგუფში – რუსების მიმართ (ნახ. 50), რაც, უთუოდ, აგვისტოს ომს უნდა უკავშირდებოდეს. ოუმცა, ამასთანავე, იგივე ქართველების ნახევარი რუსებს მეზობლად და მეგობრად აღიქვამს (აზუ მისაღებია მათვის არაფორმალური ურთიერთობების დონეზე). აღსანიშნავია ქართველთა დამოკიდებულება იეზიდების (ქურთების) მიმართ: მათ მეზობლად და მეგობრად მხოლოდ 34% აღიქვამს, 47%-მა აირჩია პასუხი “ჩვენ ჩვენთვის, ისინი თავისთვის”. საინტერესოა, რომ დაახლობით ასეთივე დამოკიდებულება მათ მიმართ აქვთ აზერბაიჯანელებსაც (32% და 29%; იხ. ნახ. 52) და სომხებსაც (21% და 63%; იხ. ნახ. 51), ოუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეს ტენდენცია უფრო მკვეთრადად გამოხატულია. ქართველების დამოკიდებულება სომხებისა და აზერბაიჯანელების მიმართ დაახლოებით ერთნაირია – უმრავლესობა მათ მეზობლად და მეგობრად აღიქვამს.

მიღებული შედეგების მიხედვით, სომხებისა და აზერბაიჯანელების დიდი უმრავლესობა მიუთითებს, რომ ქართველი მათვის “მეზობელი და მეგობარია” (81% და 99%; იხ. ნახ. 51 და 52). ამ ორივე ჯგუფის დამოკიდებულება რუსების მიმართ ერთნაირია – უმრავლესობისათვის ისინი მისაღებია არაფორმალურ ურთიერთობათა დონეზე (77% და 74%; იხ. ნახ. 51 და 52). სომხებთან (36%) და აზერბაიჯანელებთან (32%) შედარებით ქართველებს შორის გაცილებით მეტია ისეთი პირი, ვისთვისაც ებრაელი მეზობლად და მეგობრად განიხილება (59%).


ორივე ეთნიკური ჯგუფის უმრავლესობისათვის ქართველები მისაღებია არაურმალურ ურთიერთობათა დონეზე. ქართველები ამ მაჩვენებლის მიხედვით პირველ ადგილზეა. თვალსაჩინოებისათვის სამივე ჯგუფის ურთიერთდამოკიდებულება გრაფიკული სახით წარმოდგენილია ნახ. 53-55. როგორც ვხედავთ, ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებში ქართველის მეზობლად და მეგობრად აღქმა უფრო ხშირია, ვიდრე პირიქით. ამასთანავე, ეს განსხვავება აზერბაიჯანელთა და ქართველთა ურთიერთდამოკიდებულებაში უფრო მკვეთრია, ვიდრე სომხებისა და ქართველებისა (იხ. ნახ. 53 და 54). რაც შეეხება აზერბაიჯანელებისა და სომხების ურთიერთდამოკიდებულებას, მიუღებლობა მაინც უფრო იშვიათია (50% და 26%; იხ. ნახ. 55), ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. აქ გასათვალისწინებულია ის, რომ ამ შემთხვევაში “ეროვნული უმცირესობის” ქატეგორიისადმი კუთვნილება უკანა პლანზე გადადის და აქტუალიზებულია ეროვნული ნიშანი. თავს უფლებას მივცემთ ვივარაუდოთ, რომ მათ ისტორიულ სამშობლოში სომხებისა და აზერბაიჯანელების ურთიერთდამოკიდებულება გაცილებით უფრო ხეგატიური იქნება.

ნახ. 56-61 იგივე მონაცემები წარმოდგენილია ქალაქების მიხედვით ცალ-ცალკე თუმცა რაიმე არსებით ინფორმაციას ეს არ გვაძლევს. როგორც ვხედავთ, ეროვნული კუთვნილება ისევ წამყვანია.


ამრიგად, თუ შევაჯამებთ მიღებულ შედეგს, შეიძლება ითქვას, რომ გავრცელებული სტერეოტიპის ქართველის ტოლერანტულობის შესახებ მართლაც გარკვეული საფუძველი გააჩნია. ქართველ რესპონდენტთა უმრავლესობა აღიქვამს სომხებსა და აზერბაიჯანელებს “მეზობლად და მეგობრად”. ოდნავ ნაკლებია იმ პირთა რიცხვი, ვინც მზად არის, არაფორმალური დამოკიდებულება ჰქონდეს ებრაელებთან. არსებული სიტუაციის მიუხედავად, რესპონდენტთა ნახევარი რუსებსაც “მეზობლად და მეგობრად” თვლის, თუმცა ერთი მეხუთედის დამოკიდებულება მათ მიმართ ხეგატიურია, რაც, გავიმეორებთ, აგვისტოს ომის შედეგებს უნდა მიეწეროს. განსხვავებულია იეზიდების მიმართ დამოკიდებულება – დაახლოებით ნახევარი მათ უცხოდ აღიქვამს.

306 არიან თქვენთვის ძველოთ ჩამოთვლილი რელიგიური ჯგუფების
ზარမომადგენებები?


ჩართვებები



სომხები



აზერბაიჯანებები



თავის მხრივ, ორივე ეთნიკური ჯგუფის დიდი უმრავლესობისათვის ქართველები მისაღებია არაფორმალურ ურთიერთობათა დონეზე. დიდი უმრავლესობისათვის ასევე მისაღებია რუსები; შედარებით ნაკლებია ასეთი დამოკიდებულების მზაობა ეპრაელებთან, იქნიდებთან. აღსანიშნავია, რომ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის არატოლერანტული დამოკიდებულება გაცილებით უფრო იშვიათია, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. უკელა შესწავლილ ეთნიკურ ჯგუფში შეუწყნარებელი დამოკიდებულების (“მოწინააღმდეგე და კონკურენტი”) სიხშირე ძალიან დაბალია.

პასუხების განაწილება კითხვაზე “ვინ არიან თქვენთვის ქვემოთ ჩამოთვლილი რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები?” წარმოდგენილია ნახ. 62-64. როგორც 62-ე ნახატიდან ჩანს, საქართველოს 61% კათოლიკებს “მეზობლად და მეგობრად” აღიქვამს. გაცილებით უფრო დაბალია იმ პირთა რიცხვი, ვინც ასეთად პროტესტანტებს მიიჩნევს (26%). რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? ჩვენი ვარაუდით, პროტესტანტები, როგორც ჩანს, ასოცირდება ეწ. „არატრადიციულ რელიგიურ ჯგუფებთან“ პირველ რიგში იყვნოვას მოწმეებთან, რომელთა მიმართაც დამოკიდებულება უარყოფითია. როგორც 62-ე ნახატიდან ჩანს, მათთან მეზობლობა-მეგობრობაზე თანახმაა რესპონდენტთა მხოლოდ 14%; 17% მათ მოწინააღმდეგებედ თუ კონკურენტად აღიქვამს. ისლამის სხვადასხვა კონფესიის მიმდევართა მიმართ დამოკიდებულება, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთნაირია.

სომხების დამოკიდებულება სხვა რელიგიური ჯგუფების მიმართ (იხ. ნახ. 63) ისეთივე, როგორც ქართველებისა (სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ დასტურდება).

სომხებისა და აზერბაიჯანელების დიდი უმრავლესობა (90% და 87%) მზად არის, იმეგობროს მართლმადიდებლებთან. როგორც ჩანს, ეს აისხება იმით, რომ მათთვის მართლმადიდებლები ქართველები და რუსები არიან. სომხების უმრავლესობისათვის (76%) არაფორმალური ურთიერთობის დონეზე მისაღებია კათოლიკები.

რაც შეეხება აზერბაიჯანელებს (იხ. ნახ. 64), მათი დამოკიდებულება “არატრადიციული ქრისტიანების” მიმართ დაახლოებით ისეთივე, როგორც ქართველებისა და სომხებისა. რაც შეეხება ისლამის სხვადასხვა კონფესიის მიმდევრებს, მათ მიმართ დამოკიდებულება განსხვავებულია: მეგობრად აღიქვამს სუნიტებსა და შიიტებს 71-71%, ვაჟაბიტებს კი – მხოლოდ 46%.

ბოლოს, ყველაზე მთავარი: ძალიან მცირეა იმ პირთა რიცხვი, ვინც სხვა სარწმუნოების აღამიანს მოწინააღმდეგებედ მიიჩნევს.

ამასთანავე, როგორც ცნობილია, ადამიანის სოციალურ აზროვნებას გაორებული ბენება აქვს. ადამიანისათვის ესოდებ ნიშნეული რაციონალიზაციის გამო მიერ გამოთქმული აზრი, რომლისაც მას თვითონაც სჯერა, შეიძლება იყოს მხოლოდ მის კულტურაში თუ რეგურენტულ ჯგუფში ფართოდ გავრცელებული სტერეოტიპი, ჯგუფური ნორმა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართველისათვის ტოლერანტობა პოზიტიური აუტოსტერეოტიპის მნიშვნელოვანი კომპონენტია, ამდენად, დიდი იყო ალბათობა იმისა, რომ ის გავლენას მოახდენდა პასუხის არჩევაზე. მაგრამ კარგად ცნობილია ისიც, რომ თუ ნორმა გაშინაგნებული არ არის (რაც თუ ისე იშვიათია), მაშინ ის მხოლოდ ფუჭი გარსაცმია, რომლითაც ინიდებება (ხშირად არაცნობიერად) ამ ადამიანის ნამდვილი გრძნობები და რომელზეც იგი ადგილად ამბობს უარს მისთვის მნიშვნელოვან სიტუაციაში, ანუ ადამიანი ყოველთვის როდი იქცევა ისე, როგორც ამბობს. ქცევას ხომ სწორედ მისი ნამდვილი გრძნობები განსაზღვრავს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია აგრეთვე ”პოლიტკორეპტულობის ეფექტი“.

შესაბამისად, საჭიროდ ჩაოვალეთ იგივე კითხვის დასმა, მაგრამ უკვე ქცევის დონეზე: “როგორი დამოკიდებულება გექნებათ, თუ თქვენს ქალაქში, რაიონში, სოფელში იცხოვრებენ შემდეგი ეთნიკური და რელიგიური სათემოების წარმომადგენლები?” (კითხვარის მე-12 კითხვა). მიღებული შედეგი წარმოდგენილია ნახ. 65-67.

როგორც ეს 65-ე ნახატიდან ჩანს, ქართველთა შორის გამოკითხულ რესპონდენტთა დაახლოებით ნახევარი ირჩევს პასუხს “დადებითად”, როცა საქმე ეხება საქართველოში ტრადიციულად მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს – სომხებს, ებრაელებს, აზერბაიჯანელებსა და რუსებს (53%, 52%, 44%, 45%), თუმცა მაჩვენებლები ამ შემთხვევაში მაინც უფრო დაბალია, ვიდრე წინა კითხვაზე. ამასთანავე, ამ უკანასკნელებთან ერთად ერთ ქალაქში (რაიონში, სოფელში) ცხოვრების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებაც უველაზე იშვიათია (შესაბამისად – 14%, 21%, 19%, 26%). განსხვავებულია დამოკიდებულება იეზიდების (ქურთების) მიმართ: მათ მეზობლად და მეგობრად მხოლოდ 27% აღიქვამს, ხოლო უარყოფითი დამოკიდებულების მაჩვენებელი (47%) გაცილებით მაღალია, ვიდრე საქართველოში ტრადიციულად მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების შემთხვევაში.

ამასთანავე, ქართველთა ტოლერანტობა ნაკლებად ვრცელდება თურქებსა და ჩინელებზე, ანუ ახლად ”გაცნობილ“ ეთნიკურ ჯგუფებზე. გამოკითხულ ქართველთა 60%-ის დამოკიდებულება ჩინელების მიმართ უარყოფითია; თუმცა, თურქების შემთხვევაში ანალოგიური მაჩვენებელი ნაკლებია – 43% (ისეთივე, როგორც ქურთების მიმართ). როგორც 65-ე ნახატიდან ჩანს, თითქმის უველა ქართველისათვის (93%) “ქრისტიანი” მისაღებია არაფორმალური ურთიერთობის დონეზე. ალბათ, ეს აიხსნება იმით, რომ ”ქრისტიანს“ ისინი მაინც მართლმადიდებლად აღიქვამენ. ”მუსლიმი“, როგორც ჩანს, აზერბაიჯანელისაგან გამიჯნულია, ვინაიდან პირველის მიმართ დამოკიდებულება გაცილებით უარყოფითია (45% და 19% შესაბამისად).


რაც შეეხება სომხებს (ნახ. 66), ქართველებისაგან განსხვავებით, მათ შორის მეგობრად გაცილებით მეტი (87%) აღიქვამს რუსს და გაცილებით ნაკლები – აზერბაიჯანელს (20%). უფრო უარყოფითია თურქების მიმართ დამოკიდებულება (58%); ნაკლებად უარყოფითი – ჩინელების მიმართ (35%). სომხებისათვის დამოკიდებულება თურქებისა და მუსლიმების მიმართ კიდევ უფრო უარყოფითია, ვიდრე აზერბაიჯანელების მიმართ (48%, 58% და 54% შესაბამისად). ებრაელების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე ქართველებში (35% და 21% შესაბამისად). ქურთების მიმართ ქართველებსა და სომხებს ერთნაირი დამოკიდებულება აქვთ.

აზერბაიჯანელების დამოკიდებულება (ნახ. 67) რუსების (69%), თურქების (73%) მიმართ დადებითია, ნაკლებად დადებითია ჩინელების (37%), ქურთებისა (40%) და ებრაელების (42%) მიმართ. აღსანიშნავია, რომ ”ქრისტიანის“ მიმართ დადებითი დამოკიდებულების მაჩვენებელი უფრო მაღალია (86%). როგორც ჩანს, უმრავლესობა ”ქრისტიანს“ აიგივებს მხოლოდ ქართველთან, მაგრამ არა სომხებთან.

ბოლოს, უველას (ქართველებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს) გაუჭირდა პასუხის გაცემა კითხვაზე, როგორია მათი დამოკიდებულება ”სხვა“ (ანუ იმათთან, ვინც არ იყო დასახელებული კითხვარში) ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის მიმართ.


როგორი დამოკიდებულება გენერაცია, თუ თქვენს ქალაზე, რაიონი, სოფელი იცხოვოთ ინტენსიური შემდეგი ეთნიკური და რელიგიური სათვამოების ზარმომაღებები?

ძართვები




ნახ. 65

სომხები



ნახ. 66


აზერბაიჯანელები




გან. 67

**მთილებრივი ჯგუფების მიმართ დამოკიდებულება და მათთან ერთად ერთ
ჩატაშში, რაიონში, სოფელში ცხოვრების მიმართ დამოკიდებულება**


ძარისხელები



სომხები



აზერბაიჯანელები



ნახატებზე 68-70 შეპირისპირებულია მე-10 (დისპოზიციური განწყობა, ანუ ნორმატიული დამოკიდებულება სხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ) და მე-12 კითხვებზე მიღებული პასუხები. როგორც ვხედავთ, ამ ორ მაჩვენებელს შორის განსხვავება უმნიშვნელოა.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, შეიძლება ითქვას, რომ ქართველების დამოკიდებულება საქართველოში ტრადიციულად მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების – სომხების, აზერბაიჯანელების, რუსებისა და ებრაელების მიმართ ტოლერანტულია – ბევრისათვის ისინი მისაღები არიან არაფორმალურ ურთიერთობათა დონეზე. გარკვეული გაუცხოება აღინიშნება ქურთების მიმართ. აღსანიშნავია, რომ თითქმის ასეთივეა მათდამი დამოკიდებულება სომხებისა და აზერბაიჯანელების მხრიდან.

რაც მთავარია, ქართველებისა და სომხების, აზერბაიჯანელების ურთიერთდამოკიდებულებაში აშკარად არ აღინიშნება ე.წ. “სარკისებრი აღქმა” – ერთმანეთის შესახებ ნებატიური წარმოდგენები, როცა ორივე მხარეს საკუთარი თავი ზნეობრივად და მშვიდობისმოყვარედ მიაჩნია, მეორე მხარე კი – ბოროტად განწყობილი და აგრესიული. როგორც ცნობილია, უმეტეს შემთხვევაში სწორედ ეს ხდება კონფლიქტის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რამეთუ “მტრულ” გარემოცვაში მცხოვრები ადამიანი უცილობლად იცავს თავს. ეს თავდაცვა შეიძლება გამოიხატოს როგორც ქცევის ისეთ სტრატეგიაში, როგორიცაა თავის არიდება, “გაქცევა”, ისე საასუხო, ზოგჯერ წინმსწრებ, დესტრუქციულ ქცევაში (აგრესიაშიც კი).

ამ ბლოკის ბოლო კითხვა მიზნად ისახავდა ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების ურთიერთდამოკიდებულების შესწავლას ე.წ. “პირველადი ჯგუფის” დონეზე. კითხვა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: “როგორი იქნება თქვენი დამოკიდებულება, თუ თქვენი ვაჟი ან ქალიშვილი იქორწინებს სხვა ეროვნების ან სარწმუნოების წარმომადგნელთან?” პასუხების განაწილება ამ კითხვაზე წარმოდგენილია ნახ. 71-76.


მიღებული შედეგი გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ სამივე შესწავლილი ეთნიკური ჯგუფის უმრავლესობისათვის სხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელი “პირველადი ჯგუფის” დონეზე მიუღებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საკითხში ქართველები უფრო კატეგორიულები არიან, ვიდრე სომხები და აზერბაიჯანელები, თანაც ეს ეხება როგორც ვაჟიშვილს, ისე ქალიშვილს, თუმცა, გასაგები მიზეზის გამო (ოჯახი და შვილები იგივე ეროვნებისა იქნება), სხვა ეროვნების თუ სარწმუნოების რძალი მაინც უფრო მისაღებია (თუმც უმნიშვნელოდ!), ვიდრე სიძე.

რაც შეეხება სომხებს, განსხვავებულია მათი დამოკიდებულება ქართველი სიძის მიმართ: 71% ამაზე თანახმაა, თუმცა რძალზე ეს არ ვრცელდება. როგორც მოსალოდნელი იყო, აზერბაიჯანელებისა და სომხების დიდ უმრავლესობას ერთმანეთთან დანათესავების სურვილი ნაკლებად გააჩნია. ის პირები, ვისაც შერეული ქორწინების მიმართ დადებითი დამოკიდებულება აქვს, უმცირესობაში არიან.

ვფიქრობთ, რომ მიღებული შედეგი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების ტოლერანტული დამოკიდებულება ურთიერთდამოკიდებულება “პირველადი ჯგუფის” დონეზე არ ვრცელდება. უმრავლესობას ერთმანეთთან დანათესავების სურვილი ნაკლებად გააჩნია. ის პირები, ვისაც შერეული ქორწინების მიმართ დადებითი დამოკიდებულება აქვს, უმცირესობაში არიან.


ქართველები

ორგორი დამოკიდებულება გეძნებათ, თუ თქვენი ვაჟი იძორდინებს მვემოთ ჩამოთვლილი ეროვნების ან კოცესიის ფარმაციაზე?



606. 71


ორგორი დამოკიდებულება გეძნებათ, თუ თქვენი ქალიშვილი იძორდინებს მვემოთ ჩამოთვლილი ეროვნების ან კოცესიის ფარმაციაზე?



606. 72


როგორი დამოკიდებულება გვხვდათ, თუ თქვენი ვაში იძორდით ეპენოფილი ჩამოთვლილი ეროვნების ან კონფესიის ფარმომაღალებითან?

სრულება



ნახ. 73


როგორი დამოკიდებულება გვხვდათ, თუ თქვენი მალიშვილი იძორდით ეპენოფილი ჩამოთვლილი ეროვნების ან კონფესიის ფარმომაღალებითან?



ნახ. 74


აზერბაიჯანელები

როგორი დამოკიდებულება გამოისახათ, თუ თქვენი ვაჟი იძორდინებს ძველოთ ჩამოთვლილი ეროვნების ან კონფესიის უარმომაღალებაზე?



6ab. 75

როგორი დამოკიდებულება გამოისახათ, თუ თქვენი ქალიშვილი იძორდინებს ძველოთ ჩამოთვლილი ეროვნების ან კონფესიის უარმომაღალებაზე?



6ab. 76

3. რამდენად იცნობს საქართველოს ეთნიკური უმრავლესობა და უმცირესობა ერთმანეთის პულტურულ და რელიგიურ ტრადიციებსა და აღათ-ზოგებს?

როგორც სათაურიდანაც ჩანს, ამ ბლოგის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად იცნობს საქართველოს ეთნიკური უმრავლესობა და უმცირესობა ერთმანეთის პულტურულ თუ რელიგიურ ტრადიციებსა და ადათ-ზესებს. მიღებული შედეგი ცხადყოფს, რომ რესპონძნების დიდი ნაწილი საკმაოდ ცუდად იცნობს სხვა ეროვნების წარმომადგენლების ტრადიციებსა და ადათ-ზესებს. ქართველი რესპონძენტების დაახლოებით მესამედი ამბობს, რომ კარგად იცნობს რუსულ კულტურას, ერთი მეოთხედი – სომხურს, ერთი მეხუთედი – ებრაულს. აზერბაიჯანულ კარგად იცნობს ქართველების 11%; კარგად იცნობს იეზიდების კულტურას მხოლოდ 10%. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ყველაზე ხშირია უარყოფითი პასუხი – 83%.

რაც შეეხება სომხებს, 80% კარგად იცნობს ქართულ კულტურას, 53% – რუსულს. 69% არ იცნობს აზერბაიჯანულ კულტურას, 79% – იეზიდურს, 60% – ებრაულს.


კიდევ უფრო დაბალია აზერბაიჯანელთა მაჩვენებლები: 57% კარგად იცნობს ქართულ კულტურას, 30% – რუსულს. 89% არ იცნობს იეზიდების კულტურას (ისევ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი), 88% – ებრაულს, 56% – სომხურს.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეთნიკური უმრავლესობა და უმცირესობა ერთმანეთის კულტურულ თუ რელიგიურ ტრადიციებსა და ადათ-ზესებს კარგად არ იცნობს. განსაკუთრებით ეს ეხება იეზიდებს, რომელთა მიმართ გაუცხოებული დამოკიდებულება აღინიშნა. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში კაუზალური კავშირის (გაუცხოება მიზეზია თუ შედეგი) შესახებ ლაპარაკია არ შეიძლება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ერთმანეთის კულტურის, ადათ-ზესების თუ ტრადიციების გაცნობა ამ გაუცხოების დაძლევას ხელს შეუწყობდა.

შემდეგი კითხვა საკომუნიკაციო ენას ეხებოდა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: “რომელ ენას ამჯობინებთ სხვა ხალხების წარმომადგენლებთან ურთიერთობისას საქართველოში? მიღებული შედეგი წარმოდგენილია 83-ე ნახატზე.


0360გთ თუ არა საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების/რელიგიის
ზარმომადგენელთა კულტურულ და რელიგიურ ფრაძილებსა და ადამ-წმენებს?

ძართველები




ნახ. 79

სომხები




ნახ. 80

სომხები



ნახ. 81

**რომელ ენას ამჯობინებთ სხვა ხალხების ფარმომაღალებებითან
ურთიერთობისას საქართველოში**



ნახ. 83

როგორც მოსალოდნელი იყო, საკომუნიკაციო ენა არის ორი – ქართული და რუსული. ამასთანავე, აზერბაიჯანელებთან შედარებით სომხებს შორის ქართულს მეტი ფლობს. სომხების 47% საკომუნიკაციო ენად ქართულს ასახელებს, აზერბაიჯანელებს შორის კი – 32%; რუსული დაასახელა სომხების 74%-მა და აზერბაიჯანელების 85%-მა.

ბოლოს, რესპონდენტებს ვთხოვთ რამდენიმე საქართველოში მცხოვრები, არაქართული ეროვნების მოდგაწის დასახელება, რომელმაც შესამჩნევი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკის, კულტურის, ეკონომიკის, მეცნიერების თუ სპორტის ისტორიაში (კითხვა-რის მე-16 კითხვა). მიღებული შედეგი წარმოდგენილია ნახ. 84-86.

ამ კითხვას არ უპასუხა ქართველების 62%-მა, სომხების 56%-მა და აზერბაიჯანელების 93%-მა. აქვე უნდა ითქვას, რომ ნახატებზე ასახულია პასუხების აბსოლუტური სიხშირე, ვინაიდან ეს უფრო თვალსაჩინო აღმოჩნდა, ვიდრე ფარდობითი მაჩვენებლები. სულ ქართველებისაგან მივიღეთ 246 პასუხი: დასახელდა 50 გვარი, აქედან თითქმის ნახევარი მხოლოდ ერთხელ. პირველ ადგილზეა გუცაევი (42-ჯერ), მეორეზე – საიათხოვა (24-ჯერ), მესამეზე – სანეევი (17-ჯერ), მეოთხეზე – ლერიუგინი (16-ჯერ), მეხუთეზე კი – აბო თბილელი (16-ჯერ). პირველ ათეულში აგრეთვე შევიდნენ: გრიბოედოვი (12-ჯერ), ჩოხიშვილი (11-ჯერ), შუშანიკი (10-ჯერ), ხაბელოვი (10-ჯერ) და ფარაჯანოვი (9-ჯერ).

სომხების ჯგუფში სულ 196 პასუხი მივიღეთ; დასახელდა 44 გვარი, აქედან 22 – მხოლოდ ერთხელ. ამჯერად პირველ ადგილზეა საიათხოვა (55-ჯერ), მეორეზე – თუმანიანი (19-ჯერ), მესამეზე – მანთაშვილი (18-ჯერ), მეოთხეზე – არამ საჩატურიანი (13-ჯერ), მეხუთეზე კი – შუშანიკი (7-ჯერ). პირველ ათეულში აგრეთვე შევიდნენ: შარლ აზნაური და სააკაშვილი (?) (6-ჯერ), დემირჭიანი, ფარაჯანოვი და ტერიანი (5-ჯერ).

შესაბამისად, ქართველებსა და სომხებთან პირველი ათეულის მიხედვით გვაქვს მხოლოდ სამი დამთხვევა: საიათხოვა, შუშანიკი და ფარაჯანოვი.

რაც შეეხება აზერბაიჯანელებს, 93%-მა კითხვას არ უპასუხა. 36 პასუხით დასახელდა 23 გვარი, აქედან 29 მხოლოდ ერთხელ. პირველ ადგილზეა ნარიმანოვი (5-ჯერ), მეორე, მესამე და მეოთხეზე ადგილებზე – ახმედოვი, ახუნდოვი და გუცაევი (3-ჯერ). მეხუთე ადგილზეა საიათხოვა, ნარიმანოვი და პატარკაციშვილი (2-ჯერ).

შესაბამისად, ქართველებსა და აზერბაიჯანელებთან პირველი ათეულის (შვიდეულის) მიხედვით გვაქვს ორი დამთხვევა: საიათხოვა და გუცაევი. შესაბამისად, სამივე ჯგუფის მონაცემების შედარება ცხადყოფს, რომ დამთხვევა მხოლოდ ერთია – საიათხოვა.


საქართველოში მცხოვრები არაქართული ეროვნების მოწვევა, რომელმაც
შესამჩნევი კვალი დატოვეს ჩვენი ძველის პოლიტიკის, კულტურის, ეკონომიკის,
გენერაციის თუ სკოლის ისტორიაში

କାନ୍ତପାଳୀ

არ ვიცი	-0.621315193
გულავები	
საითონება	24
სანეეფი	
დერიუგინი	16
აპო თბილებელი	14
გრიბოედოვი	12
ჩოჩიშვილი	11
შუშანიქი	10
საბეჭოვი	10
ფარავანოვი	9
პატარეკაციშვილი	6
კალოევი	6
დაფით სოსლანი	6
პარნოვი	6
ზასოხოვი	5
მაიაკოვსკი	5
თელიაშვილი	4
იეთიმ გურჯი	4
შაშეგინი	3
პეტროსიანი	3
ჩიმიშეგიანი	3
ვლად არამოვი	2
სეფაშვილი	2
გაზაევი	2
შარლ აზნაური	1
ზილტერშტეინი	1
ზელიმსარ იაგუბი	1
ხინჯიძაშვილი	1
სეთაგუროვი	1
თუმანიანი	1
საფაროვა	1
ოსმან ტურანი	1
ნიკო მარი	1
მოროშეინა	1
მარკ რივენი	1
დესია უგრაინება	1
კამო	1
კალანტაროვი	1
გემურიანი	1
გასანოვი	1
ფადი აშლი	1
ელენე თევდორაძე	1
დიუმა	1
ცხოვრებოვი	1
ბუზოლალი	1
ასუნდოვი	1
ალთაბაევი	1
ალიევი	1

საქართველოში მცხოვრები არაპაროზული ეროვნების მოდგაჭე, რომელაც შესამჩევი კვალი დატოვა ჩვენი ძველის კოლიტის, კულტურის, ეკონომიკის, მეცნიერების თუ საორგანიზაციის ისტორიაში


სომხები



ნახ. 85


საქართველოში მცხოვრები არაქართული ეროვნების მოდგაჭე, ორმელმაც შესამჩევი კვალი დატოვეს ჩვენი ძველის კოლიფიპის, კულტურის, ეპონომიკის, მიცნობების თუ სპორტის ისტორიაში

აზერბაიჯანელები




ნახ. 86

**ოობორ აზასებთ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკას ან მცხოვრები
ეროვნებების მიმართ?**



ნახ. 87

**ოობორ აზასებთ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკას საქართველოში
მცხოვრები სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების მიმართ?**



ნახ. 88

4. სახელმწიფო პოლიტიკის შევასება

ამ ბლოკის პირველი კითხვის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ როგორია დამოკიდებულება ეროვნებათშორისი ურთიერთობების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ. რესპონძებმა უპასუხეს შემდეგ კითხვას: “როგორ აფასებთ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკას აქ მცხოვრები ეროვნებების მიმართ?” მიღებული შედეგი ასახულია 87-ე ნახატზე.

რესპონძებმა დაახლოებით ნახევრის (ქართველების 51%, აზერბაიჯანელების 52% და სომხების 41%) პასუხი დადებითია. როგორც ვხედავთ, სომხების მაჩვენებელი უფრო დაბალია. აღსანიშნავია, რომ უარყოფითი შეფასება ქართველების მხრიდან უფრო ხშირია, ვიდრე სომხებისა და აზერბაიჯანელებისა (13%, 7% და 3%). თუმცა, რა თქმა უნდა, ეს განსხვავება არცოუ მნიშვნელოვანია.

ამრიგად, უმრავლესობა (ეროვნების მიუხედავად) სახელმწიფო პოლიტიკას ეროვნებათშორისი ურთიერთობების სფეროში აფასებს, როგორც დადებითს ან დამაკმაყოფილებელს.

შემდეგი კითხვა ეხებოდა სახელმწიფო პოლიტიკას რელიგიათშორის ურთიერთობათ სფეროში. მიღებული შედეგი ასახულია 88-ე ნახატზე. როგორც ვხედავთ, სურათი თითქმის ან განსხვავდება წინა კითხვაზე მიღებული პასუხების განაწილებისაგან (ამ ორ განაწილებას შორის განსხვავდება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის). ამრიგად, უმრავლესობა (ეროვნების მიუხედავად) აფასებს სახელმწიფო პოლიტიკას რელიგიათშორისი ურთიერთობების სფეროში როგორც დადებითს ან დამაკმაყოფილებელს.

5. სხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების მიმართ დამოკიდებულებაზე ზემოქმედი ვაჟორების შევასება


ამ ბლოკის პირველი კითხვის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რა ფაქტორები განსაზღვრავს, რესპონძებმა აზრით, სხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, აგრეთვე მათთან ურთიერთობას. კითხვა ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: “როგორ ფიქრობთ, რამდენად მოახდინა გავლენა ყოველმა ქვემოთ ჩამოვლილმა სხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების მიმართ თქვენი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე?” ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად რესპონძები ირჩევდა ერთ-ერთ პასუხს შემდეგი შეთავაზებული სკალიდან: “თითქმის არანაირი” (1 ქულა), “სუსტი”, (2 ქულა), “საშუალო” (3 ქულა), “საკმაოდ ძლიერი” (4 ქულა), “ძალზე ძლიერი” (5 ქულა), “მიჭირს პასუხის გაცემა” (0 ქულა).

მიღებულ სიხშირეთა განაწილება ასახულია ნახ. 89-96. ამასთანავე, ყოველი ფაქტორის წილის (წონის) დასაღებენად დავითვალეთ თითოეული ფაქტორის მნიშვნელობა (საშუალო არითმეტიკული³) ყოველი შესწავლილი ეთნიკური ჯგუფისათვის ცალ-ცალკე (იხ. ცხრ. 1, აგრეთვე ნახ. 94).

³ ცხადია, შეთავაზებული სკალა კ. წ. “რიგის სკალას” განეკუთვნება, სადაც საშუალო მაჩვენებლის სახით გამოიყენება მედიანა და არა საშუალო არითმეტიკული. მაგრამ ნედლი მონაცემები ემორჩილება ნორმალური, ანუ გაუსის, განაწილებას, ასეთ შემთხვევაში კი მედიანისა და საშუალო არითმეტიკულის მნიშვნელობა ემთხვევა. საშუალო არითმეტიკული კი მაჩვენებლების შესაძლებლად იძლევა უფრო მძლავრი, კ. წ. “პარამეტრული სტატისტიკის”, მეთოდების გამოყენებული უნდა იქნეს “არაპარამეტრული სტატისტიკის” მეთოდები.


როგორ მიგაჩნიათ, რამდენად მოახდინა გავლენა ყოველია ქვემოთ
ჩამოთვლილმა თჯვენი ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე სხვა ეროვნებების და
კონფესიების მიგართ

ოჯახი




სპოლა, ინსტიტუტი

ნახ. 89




ეზო, ძმჩა

ნახ. 90




ნახ. 91

გაზეთები, რაღოვ, ფელები




ნახ. 92

ზოგნები, ზოღმები, საექთაპლები




ნახ. 93

სახელმწიფო დაწესებულებები




ნახ. 94

რელიგიური ორგანიზაციები



ნახ. 95

საზოგადოებრივი ორგანიზაციები




ნახ. 96

G ხრისი 1

სხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების მიმართ დამოკიდებულებაზე ზემოქმედი ვარტორების შეფასება

ვაქტორი	ქართველები	სომები	აზერბაიჯანელები
1. ოჯახი	2.48	3.18	3.24
2. სკოლა, ინსტიტუტი	2.54	2.90	2.88
3. ქაზო, ქუჩა	2.65	2.80	2.64
4. გაზეოვები, რადიო, ტელევიზია	2.42	2.26	2.50
5. წიგნები, ფილმები, სპექტაკლები	2.43	2.12	1.93
6. სახელმწიფო დაწესებულებები	2.02	2.11	1.82
7. რელიგიური ორგანიზაციები	1.97	1.77	1.76
8. საზოგადოებრივი ორგანიზაციები	1.78	1.72	1.59

სხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების მიმართ დამოკიდებულებაზე ზემოქმედი ზარტორების შეფასება



ნახ. 97

როგორც პირველი ცხრილიდან ჩანს, მაქსიმალური მაჩვენებელი 3-ის ფარგლებშია, რაც შეესაბამება შეფასებას “საშუალო”. ამრიგად, შეფასება “საკმაოდ ძლიერი” და “ძალზე ძლიერი” არც ერთ ჩამოთვლილ ფაქტორს მიუღია. ყველა ფაქტორის ურთიერთშედარების შედეგი ეთნიკური ჯგუფების მიხედვით ცალ-ცალკე წარმოდგენილია მე-2 ცხრილში.

ამრიგად, ქართველების აზრით, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების მიმართ მათი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა “ეზომ, ქუჩაშ”. მეორე ადგილზეა “სკოლა, ინსტიტუტი”, მესამეზე – “ოჯახი”, “წიგნები, ფილმები, სპექტაკლები” და “მასობრივი ინფორმაციის საშუალებები”. მეოთხე ადგილზე დასახელდა “სახელმწიფო დაწესებულებები” და “რელიგიური ორგანიზაციები”, ხოლო მეხუთეზე – “საზოგადოებრივი ორგანიზაციები”.

სომხებს მიაჩნიათ, რომ ამ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია „ოჯახი”; მეორე ადგილზეა “სკოლა, ინსტიტუტი” და „ეზო, ქუჩა“. მესამე ადგილზე დასახელდა “მასობრივი ინფორმაციის საშუალებები” და „წიგნები, ფილმები, სპექტაკლები”, მეოთხეზე – „სახელმწიფო დაწესებულებები”, მეხუთეზე კი – „რელიგიური ორგანიზაციები“.

რაც შეეხება აზერბაიჯანელებს, პირველ ადგილზე დასახელდა „ოჯახი“, მეორეზე – „სკოლა, ინსტიტუტი“; მესამეზე – „ეზო, ქუჩა“ და „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები“, მეოთხეზე – „წიგნები, ფილმები, სპექტაკლები“ და „სახელმწიფო დაწესებულებები“, მეხუთეზე – „რელიგიური ორგანიზაციები“, ხოლო მეექვსეზე – საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ზაფთორის ურთიერთშედარების შედეგი

შედარებული წყვილები	ქართველი		სომები		აზერბაიჯანელი	
	t	p	t	p	t	p
ოჯახი-სკოლა, ინსტიტუტი	- 2.723	0.007 0.301	4.686 3.740	0.000 0.000	7.226 4.800	0.000 0.000
ოჯახი-ეზო, ქუჩა	- 1.035	0.000 0.411	0.000 9.862	0.000 0.000	0.000 8.669	0.000 0.000
ოჯახი-წიგნები, ფილმები, სპექტაკლები	0.823 0.642	0.000 0.521	10.70 9	0.000 0.000	15.074 0.000	0.000 0.000
ოჯახი-სახელმწიფო დაწესებულებები	6.155	0.000	10.79 7	0.000	16.473 0.000	0.000 0.000
ოჯახი-რელიგიური ორგანიზაციები	6.770	0.000	14.91 0	0.000	16.846 0.000	0.000 0.000
ოჯახი-საზოგადოებრივი ორგანიზაციები	9.194	0.000	15.03 8	0.000	18.767 0.000	0.000 0.000
სკოლა, ინსტიტუტი-ეზო, ქუჩა	- 1.951	0.050 0.065	1.660 8.205	0.000 0.000	3.593 4.950	0.000 0.000
სკოლა, ინსტიტუტი-მასმედია	1.849	0.000 0.074	0.000 9.206	0.000 0.000	13.200 0.000	0.000 0.000
სკოლა, ინსტიტუტი-წიგნები, ფილმები, სპექტაკლები	1.791	0.000 0.074	0.000 9.206	0.000 0.000	13.200 0.000	0.000 0.000
სკოლა, ინსტიტუტი-სახელმწიფო დაწესებულებები	7.591	0.000	8.952 0.000	0.000	13.737 0.000	0.000 0.000
სკოლა, ინსტიტუტი-რელიგიური ორგანიზაციები	7.552	0.000	11.40 8	0.000	13.524 0.000	0.000 0.000
სკოლა, ინსტიტუტი-საზოგადოებრივი ორგანიზაციები	10.24 8	0.000	12.37 2	0.000	16.511 0.000	0.000 0.000
ეზო, ქუჩა-მასმედია	3.214	0.001	6.874 0.000	0.000	1.783 0.000	0.075 0.000
ეზო, ქუჩა-წიგნები, ფილმები, სპექტაკლები	3.092	0.002	7.631 0.000	0.000	9.176 0.000	0.000 0.000
ეზო, ქუჩა-სახელმწიფო დაწესებულებები	8.346	0.000	7.245 0.000	0.000	10.745 0.000	0.000 0.000
ეზო, ქუჩა-რელიგიური ორგანიზაციები	8.164	0.000	9.876 0.000	0.000	10.928 0.000	0.000 0.000
ეზო, ქუჩა-საზოგადოებრივი ორგანიზაციები	10.66 9	0.000	10.62 9	0.000	13.065 0.000	0.000 0.000
მასმედია-წიგნები, ფილმები, სპექტაკლები	- 0.257	0.000 0.797	2.445 0.015	0.015	8.613 0.000	0.000 0.000
მასმედია-სახელმწიფო დაწესებულებები	6.155	0.000	2.194 0.029	0.029	8.710 0.000	0.000 0.000
მასმედია-რელიგიური ორგანიზაციები	6.282	0.000	5.983 0.000	0.000	8.687 0.000	0.000 0.000
მასმედია-საზოგადოებრივი ორგანიზაციები	9.467	0.000	7.396 0.000	0.000	11.618 0.000	0.000 0.000
წიგნები, ფილმები, სპექტაკლები- სახელმწიფო დაწესებულებები	6.764	0.000	0.048 0.962	0.048	1.844 0.000	0.066 0.000
წიგნები, ფილმები, სპექტაკლები- რელიგიური ორგანიზაციები	6.617	0.000	4.669 0.000	0.000	2.452 0.000	0.015 0.000
წიგნები, ფილმები, სპექტაკლები- საზოგადოებრივი ორგანიზაციები	9.692	0.000	6.055 0.000	0.000	5.177 0.000	0.000 0.000
სახელმწიფო დაწესებულებები- რელიგიური ორგანიზაციები	0.830	0.407	4.726 0.000	0.000	1.287 0.000	0.199 0.000

სახელმწიფო დაწესებულებები- საზოგადოებრივი ორგანიზაციები	4.199	0.000	6.360	0.000	4.123	0.000
რელიგიური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები	2.967	0.003	0.923	0.357	3.004	0.003

შენიშვნა: t – სტიუდენტის კრიტერიუმის მნიშვნელობა; p – სანდოობა.

ბოლოს, ცხრ. 3-5 წარმოდგენილია გამოყოფილი ფაქტორების მნიშვნელობის მიხედვით ეთნიკური ჯგუფების ურთიერთშედარების შედეგი.

ცხრილი 3

ზაქტორის ურთიერთშედარების შედეგი

ფაქტორი	ეროვნება	საშუალო	სტ. გადახრა	t	p
ოჯახი*	ქართველები	2.48	1.50	6.242	0.000
	სომხები	3.18	1.59		
სკოლა, ინსტიტუტი*	ქართველები	2.54	1.49	3.332	0.001
	სომხები	2.90	1.50		
ეზო, ქუჩა	ქართველები	2.65	1.52	1.298	0.195
	სომხები	2.80	1.54		
მასმედია	ქართველები	2.42	1.38	1.578	0.115
	სომხები	2.26	1.37		
წიგნები, ფილმები, სპექტაკლები*	ქართველები	2.43	1.42	3.102	0.002
	სომხები	2.12	1.35		
სახელმწიფო დაწესებულებები	ქართველები	2.02	1.36	0.903	0.367
	სომხები	2.11	1.38		
რელიგიური ორგანიზაციები*	ქართველები	1.97	1.38	2.028	0.043
	სომხები	1.77	1.27		
საზოგადოებრივი ორგანიზაციები	ქართველები	1.78	1.25	0.749	0.454
	სომხები	1.72	1.25		

შენიშვნა: t – სტიუდენტის კრიტერიუმის მნიშვნელობა; p – სანდოობა.

* ნიშანდებულია ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც განსხვავება სტატისტიკურად სანდოა.

ცხრილი 4

ზაქტორის ურთიერთშედარების შედეგი*

ფაქტორი	ეროვნება	საშუალო	სტ. გადახრა	t	p
ოჯახი*	ქართველები	2.48	1.50	6.935	0.000
	აზერბაიჯანელები	3.24	1.49		
სკოლა, ინსტიტუტი*	ქართველები	2.54	1.49	3.194	0.001
	აზერბაიჯანელები	2.88	1.37		
ეზო, ქუჩა	ქართველები	2.65	1.52	0.094	0.925
	აზერბაიჯანელები	2.64	1.32		
მასმედია	ქართველები	2.42	1.38	0.854	0.394
	აზერბაიჯანელები	2.50	1.31		
წიგნები, ფილმები, სპექტაკლები*	ქართველები	2.43	1.42	5.106	0.000
	აზერბაიჯანელები	1.93	1.25		
სახელმწიფო დაწესებულებები*	ქართველები	2.02	1.36	2.165	0.031

	აზერბაიჯანელები	1.82	1.20		
რელიგიური ორგანიზაციები*	ქართველები	1.97	1.38	2.141	0.033
	აზერბაიჯანელები	1.76	1.28		
საზოგადოებრივი ორგანიზაციები*	ქართველები	1.78	1.25	2.168	0.030
	აზერბაიჯანელები	1.59	1.17	6.935	0.000

შენიშვნა: t – სტიუდენტის კრიტერიუმის მნიშვნელობა; p – სანდოობა

* ნიშანდებულია ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც განსხვავება სტატისტიკურად სანდოა.

ცხრილი 5

ზაქტორის ურთიერთშედარების შედეგი

ფაქტორი	ეროვნება	საშუალო	სტ. გადახრა	t	p
ოჯახი	სომხები	3.18	1.59	0.484	0.628
	აზერბაიჯანელები	3.24	1.49		
სკოლა, ინსტიტუტი	სომხები	2.90	1.50	0.234	0.815
	აზერბაიჯანელები	2.88	1.37		
ეზო, ქუჩა	სომხები	2.80	1.54	1.375	0.170
	აზერბაიჯანელები	2.64	1.32		
მასმედია*	სომხები	2.26	1.37	2.305	0.021
	აზერბაიჯანელები	2.50	1.31		
წიგნები, ფილმები, სპექტაკლები	სომხები	2.12	1.35	1.862	0.063
	აზერბაიჯანელები	1.93	1.25		
სახელმწიფო დაწესებულებები*	სომხები	2.11	1.38	2.907	0.004
	აზერბაიჯანელები	1.82	1.20		
რელიგიური ორგანიზაციები	სომხები	1.77	1.27	0.129	0.898
	აზერბაიჯანელები	1.76	1.28		
საზოგადოებრივი ორგანიზაციები	სომხები	1.72	1.25	1.318	0.188
	აზერბაიჯანელები	1.59	1.17	0.484	0.628

შენიშვნა: t – სტიუდენტის კრიტერიუმის მნიშვნელობა; p – სანდოობა

* ნიშანდებულია ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც განსხვავება სტატისტიკურად სანდოა.

როგორც მე-3 ცხრილიდან ჩანს, ქართველები და სომხები განსხვავებულად აფასებენ ისეთი ფაქტორების მნიშვნელობას, როგორიცაა “ოჯახი”, სკოლა და ინსტიტუტი”, “წიგნები, ფილმები, სპექტაკლები” და “რელიგიური ორგანიზაციები”.

როგორც მე-4 ცხრილიდან ჩანს, კიდევ უფრო მყვანობის განსხვავება ქართველებისა და აზერბაიჯანელების შეფასებას შორის. ერთნაირად შეფასებულია მხოლოდ ორი ფაქტორის გავლენა: “ეზო, ქუჩა” და “მასობრივი ინფორმაციის საშუალებები”.


მაგრამ სომხებისა და აზერბაიჯანელების შეფასება მსგავსია, რაც ნახატიდანაც კარგად ჩანს (იხ. ხახ. 94). განსხვავება აღინიშნება მხოლოდ ორი ფაქტორის მიხედვით: “მასობრივი ინფორმაციის საშუალებები” და “სახელმწიფო დაწესებულებები”. ერთი

შეხედვით ეს შედეგი თითქოსდა გასაკვირია, მაგრამ აქაც, სავარაუდოდ, მოხდა ეროვნული/რელიგიური უმცირესობის კატეგორიისადმი კუთვნილების აქტუალიზაცია. თუ ეს ეთნიკური უმრავლესობისა და უმცირესობის განსხვავებული ცხოვრების წესის შედეგია?

ამავე ბლოკის მეორე კითხვა ავალებდა რესპონდენტებს საზღვარგარეთის ქვეყნების, მათ შორის ევროკავშირის, გავლენის შეფასებას საქართველოში არსებულ სიტუაციაზე ეროვნებათშორის და რელიგიათშორის სფეროში. შესაფასებლად მათ შევთავაზეთ შემდეგი სკალა: “ძალიან „უარყოფითი” (1 ქულა), „უარყოფითი” (2 ქულა), „გავლენას არ ახდენს” (3 ქულა), „დადებითი” (4 ქულა), „ძალიან დადებითი” (1 ქულა) და „მიჭირს პასუხის გაცემა (0 ქულა). მიღებული სიხშირეთა განაწილება ასახულია ნახ. 98-101


შეაფასეთ ჩამოთვლილი ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზაციების გამლენა
საქართველოში არსებულ სიტუაციაზე ეროვნებათშორის და რელიგიათშორის სიმღრვე

რესენტი




ნახ. 98

აშშ




ნახ. 99

ეპორპავშირი



ნახ. 100

თურქეთი



ნახ. 101

ამასთანავე, თითოეული ქვეყნის (გაერთიანების) გავლენის შეპირისპირების მიზნით დავითვალეთ თითოეულის შესაბამისი მაჩვენებელი (საშუალო არითმეტიკული) ყოველი შესწავლილი ეთნიკური ჯგუფისათვის ცალ-ცალკე (იხ. ცხრ. 6, აგრეთვე ნახ. 99).


ცხრილი 6

საზღვარგარეთის ძველების გავლენა საქართველოში არსებულ სიტუაციაზე

ეროვნებათშორის და რელიგიათშორის სფეროში

ქვეყანა	ქართველები	სომხები	აზერბაიჯანელები
1. რუსეთი	1.30	1.66	1.63
2. აშშ	2.55	1.80	1.87
3. ეგროკავშირი	2.69	1.80	2.05
4. თურქეთი	2.30	1.39	2.42

**საზღვარგარეთის ძველების გავლენა საქართველოში არსებულ სიცუაციაზე
მოვნებათშორის და რელიგიათშორის სურვილი**



ნახ. 102

ცხრილი 7

საზღვარგარეთის ძველების გავლენის შეაირისპირება (შიდაჯგუფები)

შედარება	ქართველი		სომები		აზერბაიჯანელი	
	t	p	t	p	t	p
რუსეთი-აშშ	-14.294	0.000	-1.601	0.111	-2.275	0.024
რუსეთი-ევროკავშირი	-16.599	0.000	-0.889	0.375	-3.813	0.000
რუსეთი-თურქეთი	-12.433	0.000	3.735	0.000	-8.091	0.000
აშშ-ევროკავშირი	-2.775	0.006	0.831	0.407	-2.883	0.004
აშშ-თურქეთი	4.311	0.000	5.977	0.000	-4.502	0.000
ევროკავშირი-თურქეთი	7.262	0.000	5.710	0.000	-3.823	0.000

ამრიგად, დადებითი შეფასება (4 ქულა) არც ერთ ქვეყანას მიუღია (იხ. ცხრილი 6). როგორც 6-7 ცხრილებიდან ჩანს, ქართველების აზრით, საქართველოში არსებულ სიტუაციაზე ეროვნებათშორის და რელიგიათშორის სფეროში ევროკავშირი და აშშ გავლენის არ ახდენს. თურქეთის როლი უარყოფითს უახლოვდება, რუსეთის როლი კი ძალიან უარყოფითია.

სომხებს მიაჩნიათ, რომ ამ სფეროში ევროკავშირისა და აშშ-სა როლი ერთნაირად უარყოფითია, მაგრამ ნაკლებად, ვიდრე რუსეთისა; თურქეთის გავლენა ძალიან უარყოფითია. სომხების საპირისპიროდ, აზერბაიჯანელები თვლიან, რომ თურქეთის როლი ყველაზე ნაკლებად უარყოფითია; შემდეგ მოდის ევროკავშირი, აშშ და რუსეთი.

ცხრილი 8

საზღვარგარეთის ძველების გავლენის შედარება (ჯგუფთაშორისი)

ქვეყანა	ეროვნება	t	p	ეროვნება	t	p	ეროვნება	t	p
რუსეთი	ქართველი	-4.323	0.000	ქართველი	-4.151	0.000	ქართველი	0.226	0.821
	სომები			აზერბაიჯანელი			აზერბაიჯანელი		
აშშ	ქართველი	6.190	0.000	ქართველი	6.105	0.000	ქართველი	-0.488	0.626
	სომები			აზერბაიჯანელი			აზერბაიჯანელი		
ევროკავშირი	ქართველი	7.490	0.000	ქართველი	5.678	0.000	ქართველი	-1.888	0.060
	სომები			აზერბაიჯანელი			აზერბაიჯანელი		
თურქეთი	ქართველი	8.874	0.000	ქართველი	-1.051	0.313	ქართველი	-8.248	0.000

შემდეგ, მე-8 ცხრილში წარმოდგენილია თითოეული ეთნიკური ჯგუფის მიერ საზ-

ლგარგარეთის ქვეყნების/გაერთიანების გავლენის შეფასების შედარების შედეგი. როგორც ვხედავთ, მართალია, სომხები და აზერბაიჯანელები რუსეთის როლს უარყოფითად აფასებენ, მაგრამ ქართველების შეფასება უფრო მკაცრია. იგივე ითქმის აშშ-სა და ევროპავ-შირზე, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ქართველებს მიაჩნიათ, რომ აშშ და ევროპავშირი ამ სფეროზე გავლენას არ ახდენს. ქართველები და სომხები თურქეთის როლს ერთნაირად აფასებენ, თუმცა სომხების აზრით, მისი როლი ძალიან უარყოფითია, ანუ ისევე აფასებენ თურქეთის როლს, როგორც ქართველები – რუსეთისას.

6. რას ნიშნავს საქართველოს მოქალაქეობა

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად რესპონდენტებს ვთხოვენ 9 დებულების შეფასება სამი შესაძლო პასუხიდან (“დიახ”, “არა”, “მიჰირს პასუხის გაცემა”) ერთ-ერთის არჩევით. მიღებული შედეგი წარმოდგენილია ნახ. 103-1011.


როგორც ვხედავთ, უმრავლესობას, ეროვნების მიუხედავად, არ მიაჩნია, რომ საქართველოს მოქალაქეობა ნიშნავს “მქონდეს საქართველოს პასპორტი, მეტი არაფერი”. ქართველების მაჩვენებელი ოდნავ უფრო მაღალია, ვიდრე აზერბაიჯანელებისა და სომხების. კიდევ ერთხელ დასტურდება სამივე ეთნიკური ჯგუფის მაღალი ეროვნული იდენტობა, განსაკუთრებით ქართველებისა და სომხების: უმრავლესობას მიაჩნია, რომ “მოქალაქეობას გარკვეული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მთავარი ეროვნული კუთვნილებაა” (92%, 85% და 68% შესაბამისად).

დიდ უმრავლესობას, ეროვნების მიუხედავად, მიაჩნია, რომ საქართველოს მოქალაქეობა ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ცოდნას ნიშნავს. თითქმის ყვალა, ისევ ეროვნების მიუხედავად, აღნიშნავს, რომ ესაა “განცდა იმისა, რომ გსარგებლობ საქართველოს მოქალაქის ყველა უფლებით”.

თითქმის ყველა ქართველის (93%), სომხის 69%-ის, აზერბაიჯანელის 82%-ის აზრით, საქართველოს მოქალაქემ “თვალი უნდა ადევნოს ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას”. ბოლოს, თითქმის ყველას, ეროვნების მიუხედავად, მიაჩნია, რომ უნდა “იამაყო ქვეყნის წარმატებებით და წუხდე წარუმატებლობების გამო”, “იცოდე და იზიარებდე ქართული კულტურის ძირითად ღირებულებებსა და ტრადიციებს”, “დაიცვა საქართველოს ინტერესები საზღვარგარეთ”.


რას ნიშნავს თქვენთვის საქართველოს მოქალაქეობა?

მძღვდეს საქართველოს აასკორტი,
გენტი არაფერი




ნახ. 103

მოქალაქეობას გარევაული მნიშვნელობა ამას
ჩვეთვის, მაბრავ მთავარი – ჩვენი ეროვნული
კუთხითილებაა




ნახ. 104

ვიცოდე ქართული ინა




ნახ. 105

**განცენა იმისა, რომ პსარგებლობ
საქართველოს მოქალაქის ზოგადა უფლებით**




ნახ. 106

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ცოდნა




ნახ. 107

**თვალს გადავიცხვდე ქვეყნის პოლიტიკურ და
საზოგადოებრივ ცხოვრებას**




ნახ. 108

**ვამაყობრე შეხვერდის ფარਮატებებით და გულებე
ფარმატებლობების გამო**




ნახ. 109

**ვიცოდე და ვიზიარებრე ქართული კულტურის
ძირითად ღირებულებებს და ტრადიციებს**



ნახ. 110

დავიცხა საქართველოს ინტერნეტი საზღვარგარეთ



ნახ. 111

7. მომავლის შეფასება

ამ ბლოკში რესპონდენტებს დაგუსვით ორი კითხვა იმის შესახებ, თუ როგორი იქნება, მათი აზრით, მომავალში ეროვნებათშორისი და რელიგიათშორისი ურთიერთობები საქართველოში. მიღებული შედეგი წარმოდგენილია ნახ. 112-113.


როგორც ვხედავთ, მოლოდინი საკმაოდ ოპტიმისტურია. მდგომარეობის გაუარესების შესაძლებლობას (ორივე მიმართულებით) უმრავლესობა გამორიცხავს. მეტიც, ქართველების 65%-ს, სომხების 67%-ს, აზერბაიჯანელების 75%-ს მიაჩნია, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდება. დაახლოებით ერთი მეხუთედი ფიქრობს, რომ მდგომარეობა არ შეიცვლება.

8. საკუთარი ცხოვრების შეფასება

კითხვარის ბოლო კითხვა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: “პირადად თქვენ რამდენად კმაყოფილი ხართ ცხოვრებით ბოლო 2-3 წლის განმავლობაში?” რა თქმა უნდა, იმთავითვე ცხადი იყო, რომ დღეს უმრავლესობა ცხოვრების დონით მაინდამაინც კმაყოფილი ვერ იქნება, მაგრამ ჩვენი მიზანი იყო იმის გარკვევა, არსებობს თუ არა განსხვავება ეთნიკურ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის. პასუხის გასაცემად რესპონდენტი ირჩევდა ერთ-ერთ პასუხს შემდეგიდან: 1) უკმაყოფილო ვარ; 2) უფრო უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი; 3) უფრო კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო; 4) კმაყოფილი ვარ; 5) მიჰირს პასუხის გაცემა.


მიღებული შედეგი წარმოდგენილია ნახ. 114-117.

როგორ წარმოგიდგენიათ მომავალში
ეროვნებათშორისი ურთიერთობები საქართველოში?




ნახ. 112

როგორ უარმობილენიათ მომავალში ეროვნებათშორისი და რელიგიათშორისი ურთიერთობები საქართველოში?




ნახ. 113


პირადად თქვენ რამდენად კმაყოფილი ხართ
ცხოვრებით ბოლო 2-3 წლის განმავლობაში?




ნახ. 114



ნახ. 115



ნახ. 116



ნახ. 117

შედგის უფრო თვალსაჩინოთ წარმოდგენის მიზნით შევაჯამეთ პასუხები “უკმაყოფილო – უფრო უკმაყოფილო, ვიდრე კმაყოფილი” და “კმაყოფილი – უფრო კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილი” (ნახ. 116-117).

როგორც 114-ე და 115-ე ნახატებიდან ჩანს, უკმაყოფილო ქართველებს შორის აშკარად მეტია. აზერბაიჯანელებისა და სომხების პასუხების განაწილებას შორის განსხვავება არ აღინიშნება. როგორც მოსალოდნელი იყო (თუმცა, მაინც შევამოწმეთ), იგივე სურათს იძლევა ქალაქის მიხედვით დაჯავაფებული მონაცემები (ნახ. 117). ყველაზე მეტი უკმაყოფილო არის ხაშურში, ხოლო ყველაზე ნაკლები – მარნეულსა და ახალქალაქში, სადაც რესპონდენტები მხოლოდ აზერბაიჯანელები და სომხები იყნენ. “შერეულ” ქალაქებში კი, სადაც ქართველი რესპონდენტებიც იყნენ – 50-50% თითოეულ ქალაქში (იხ. ნახ. 6), ანუ ბოლნისსა და ახალციხეში მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე მარნეულსა და ახალქალაქში, მაგრამ უფრო დაბალი, ვიდრე ხაშურში.

რა თქმა უნდა, ეს შედეგი სულაც არ ნიშნავს, რომ აზერბაიჯანელები და სომხები უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე ქართველები. ვგულისხმობთ იმას, რომ ეს მონაცემები ობიექტურად არსებულ სურათს არ (და ვერ) ასახავს. ეს შეიძლება იყოს (ისიც საუკუთესო შემთხვევაში!) მხოლოდ გამოკითხულ პირთა სუბიექტური განცდა, შეფასება. თუმცა, რა თქმა უნდა, შედეგის თვალსაზრისით შეიძლება სავსებით რეალური აღმოჩნდეს, რამეთუ ფსიქოლოგიურ პრობლემას იწვევს სტრესის არა იმდენად ობიექტური მხარე, არამედ უფრო სუბიექტური (რ. ლაზარუსი; 5); თავად სტრესის სიტუაცია ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, თუ როგორ აღიქმამს მას ადამიანი (ა. ბეკი; 6). ის, თუ როგორ აღიქმამს ადამიანი საშიშროებას, საშიშროებაზე მნიშვნელოვანია (რ. მეი; 7). შესაბამისად, ეს უნდა ნიშნავდეს, რომ ხაშურში სოციალური ფონი (64% უკმაყოფილო თავისი ცხოვრებით) უფრო მძიმეა, ვიდრე მარნეულში თუ ახალქალაქში.

მაგრამ, ამასთანავე, ბუნებრივად იბადება კიდევ ერთი კითხვა, განპირობებული თუნდაც ეთნიკურ უმცირესობათა პასუხების “საეჭვო” მსგავსებით. კარგადაა ცნობილი, რომ ეთნიკური უმცირესობის ნებისმიერი ჯგუფისათვის უმრავლესობასთან შედარებით გაცილებით უფრო მეტადაა ნიშნეული გარევეული სიფრთხილე მაშინ, როცა საქმე ეხება პო-

ლიტიკურად არანეიტრალურ საკითხებს. შესაბამისად, სულ არ არის გამორიცხული, რომ ეთნიკურ ქართველებსა და არაქართველებს შორის გამოვლენილი ეს განსხვავება განპირობებულია იმით, რომ ამ უკანასკნელთა პასუხებზე უფრო მეტად აისახა ე.წ. “სოციალური სასურველობის” ეფექტი...


კიდევ ერთი საგარაუდო ფაქტორი, რომელმაც, შესაძლოა განსაზღვრა მიღებული შედეგები – ესაა უფრო მაღალი მიღწევის (ასპირაციის) დონე ქართულ მოსახლეობაში ეროვნულ უმცირესობებთან შედარებით. სხვა სიტყვებით, შესაძლოა (და დამატებით კვლევას მოითხოვს), რომ ქართველები ცხოვრების ყველა ან ზოგიერთ სფეროს უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ, შესაბამისად, რაც აკმაყოფილებთ სომხებსა და აზერბაიჯანელებს, არ აკმაყოფილებთ ქართველებს.

ბოლოს, მთავარი ფაქტორი ქართველების მიერ ბოლო წლების შედარებით უარყოფითად შეფასებისა უთუოდაა აგვისტოს ომი, რომელიც სუბიექტურად ნაკლებად მტკიცნეული იყო ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთავის.

9. რა ზომებია მისაღები საქართველოში ეროვნებათშორისი ურთიერთობების ჰარმონიზაციისთვის

როგორც ჩვენი კვლევის შედეგმა (პირველი ბლოკი) აჩვენა, გამოკითხულ პირთა უმრავლესობა ეროვნებათშორისი ურთიერთობათა თვალსაზრისით საქართველოში არსებულ მდგომარეობას აფასებს, როგორც დადებითს ან დამაკმაყოფილებელს. სომხებსა და აზერბაიჯანელებთან შედარებით ქართველებს შორის უარყოფითი შეფასება უფრო ხშირია. ამ ბლოკის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რა არის, რესპონდენტთა აზრით, გასაპეთებელი საქართველოში ეროვნებათშორის ურთიერთობათა პარმონიზაციისათვის. რა თქმა უნდა, პასუხები ამ კითხვაზე თავისთავად დირექულია, მაგრამ არანაკლებად


**რა ზომებია გასატარებელი საქართველოში
ეროვნებათშორისი ურთიერთობების
პარმონიაციისთვის ?**



ნახ. 118

ეროვნებათშორისი ურთიერთობების გაუმჯობესებისას მიმართული ზომები


აზერბაიჯანელები



ნახ. 119


**ეროვნებათშორისი ურთიერთობების ბაზმჯობესებისაკენ მიმართული
ზოგადი**

ძალის მიზანი



გვ. 120

სომხები



მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ გზით შესაძლებელია გამოკითხულ პირთა პრობლემების გამოვლენაც. მიღებული შედეგი ასახულია ნახ. 118.

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისაგან თავი შეიკავა ქართველების 31%-მა, სომხების 45%-მა და აზერბაიჯანელების 64%-მა.

მიღებული პასუხები დახარისხდა რვა კატეგორიად (იხ. ნახ. 118). როგორც ვხედავთ, ყველა ქვეყნის შემთხვევაში მეტი პასუხი შევიდა კატეგორიაში, რომელსაც პირობითად ვუწოდეთ “ეროვნებათშორის ურთიერთობათა გაუმჯობესებისაკენ მიმართული ზომები” (ქართველები – 22% (32%)⁴, სომხები – 27% (49%) და აზერბაიჯანელები – 12% (33%). ამ კატეგორიას ქვემოთ ცალკე შევეხებით.

გაცემული პასუხების რაოდენობის მიხედვით სიდიდით მეორე კატეგორიის სახელწოდებიდანაც ჩანს, რომ ეს პასუხები არის, არსობრივად, ერთმანეთის პატივისცემის, სიყვარულის, გაგების, დანდობისაკენ მოწოდება (ქართველები – 17% (25%), სომხები – 13% (24%) და აზერბაიჯანელები – 7% (19%). შესაბამისად, შეიძლება, ითქვას, რომ ქართველებიც და არაქართველებიც ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთსიუვარულის გარკვეულ დეფიციტს განიცდიან.

რესპონდენტთა გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ მთავარია ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარება, ყველაფერი დანარჩენი, მათ შორის ეროვნებათშორისი ურთიერთობები, თავისთავად მოგვარდება. ასე ფიქრობს ქართველების 14% (20%), სომხების 7% (13%) და აზერბაიჯანელების 14% (25%).

რესპონდენტთა საკმაოდ უმნიშვნელო ნაწილი – ქართველების 5% (7%), სომხების 6% (11%) და აზერბაიჯანელების 4% (11%) – ამ სფეროში რაიმე პრობლემის არსებობას უარყოფს (“ძალიან კარგი ურთიერთობები გავაქვს”, “ყველაფერი კარგადაა”, “ყველაფერი ნორმალურადაა”, “ყველაფერი წესრიგშია”).

აღინიშნება, რომ საჭიროა ქართული ენისა და კულტურის ცოდნა – ქართველების 6% (7%), სომხების 1% (11%) და აზერბაიჯანელების 0.3% (1%).

გამოიკვეთა კიდევ ერთი მცირერიცხოვანი კატეგორია, რომელსაც პირობითად “თანასწორობა” ვუწოდეთ – ქართველების 3% (4%), სომხების – 4% (7%) და აზერბაიჯანელებისა – 3% (6%). ამ კატეგორიაში შევიდა შემდეგი ტიპის პასუხები: “ყველა ერთს თანასწორობა კანონის დონეზე”, “ყველა ერთ თანაბარუფლებიანი უნდა იყოს” და ა.შ. ასეთი ტიპის პასუხების სიმცირე, ჩვენი აზრით, უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ამ სფეროში პრობლემები, როგორც ჩანს, შედარებით ნაკლებად აღინიშნება.

ბოლოს, ყველაზე მძიმე და, საბედნიეროდ, ყველაზე მცირერიცხოვანი კატეგორია, რომელსაც პირობითად “ნებატიური დამოკიდებულება” დაგარქვით. ამ კატეგორიაში გაერთიანდა მეტ-ნაკლებად ქსენოფობიური პასუხები (“ისინი ჩვენზე კარგად ცხოვრობენ”, “ქართველს თავის ქვეყანაში პრივილეგიები უნდა ჰქონდეს”, “ყველამ თავის მიწაზე იცხოვროს” და ა.შ.). ასეთი პასუხი გაგვცა ქართველ რესპონდენტთა 2%-მა (გაცემული პასუხების 3%).

რაც შეეხება კატეგორიას “ეროვნებათშორისი ურთიერთობათა გაუმჯობესებისაკენ მიმართული ზომები”, უფრო დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ნახ. 119-121.

როგორც 120-ე ნახატიდან ჩანს, ქართველებს შორის ყველაზე ხშირია ორი პასუხი: “ერებს შორის მჭიდრო ურთიერთობა, დაახლოება, დიალოგი” და “სწორი სახელმწიფო პოლიტიკა” (6%). სხვათა შორის, ეს უკანასკნელი პასუხი, ფაქტობრივად, სამივე ჯგუფში მეორე ადგილზეა.

გარდა ამისა, სამივე ჯგუფში აღნიშნულია ეთნიკური ქართველებისა და არაქართველების დაახლოებისაკენ მიმართული ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობა (ახალგაზრდობის შევედრები, სკოლებს შორის კონტაქტები, სემინარები და დებატები, ერთობლივ

⁴ ფრჩხილში მოცემული პროცენტული მაჩვნებელი დათვლილია გაცემული პასუხების საერთო რაოდენობიდან, ანუ იმ რესპონდენტთა რიცხვითან, ვინც ამ კითხვას უპასუხა.

ღონისძიებათა მოწყობა, ერთმანეთის ისტორიის, კულტურის გაცნობა, კულტურული პავ-შირების გადარმავება, კულტურული, სპორტული ღონისძიებების ჩატარება და სხვ.). საერთო ჯამში ჭარბობს სწორედ ასეთი ტიპის პასუხები, ანუ სამივე ჯგუფში ლაპარაკია და-ახლოების საჭიროებაზე, ანუ ამ მხრივაც გარკვეული პრობლემა აღინიშნება. არსებრივად, იგივეზე მიუთითებდა საქმაოდ მრავალრიცხოვანი მოწოდება ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთსიცარულისაკენ.

ვფიქრობთ, რომ ასეთი შედეგი მიუთითებს იმაზე, რომ ეთნიკურ ქართველებსა და საქართველოში მცხოვრებ არაქართველებს შორის გარკვეული გაუცხოება აღინიშნება, რასაც ორივე მხარე გრძნობს.

სომხებსაც და აზერბაიჯანელებს, როგორც ჩანს, ძალიან აწესებთ რუსეთთან ურთიერთობისა და თავისუფალი მიმოსვლის საკითხი. ამით თუ ახსნი იმას, რომ კითხვაზე, “რა უნდა გაკეთდეს საქართველოში ეროვნებათშორისი ურთიერთობების ჰარმონიზაციისათვის” რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი გვასუხობს: “რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა”. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ისინი ამას იმიტომ აღნიშნავენ, რომ ეს, მათი აზრით, შეიძლება ნეგატიურად აისახოს საქართველოში მცხოვრებ რუსებზე.

ბამოზნებული ლიტერატურა:

1. Эмзар Джгеренаиа, Иаго Качкачишилии, Русудан Мшвидобадзе, Георгий Нижарадзе, Георгий Хуцишвили. Городское население Грузии о вопросах, связанных с религией. Результаты социологического исследования. Тбилиси, 2003 г. (на правах рукописи).
2. ქ. ჩომახიძე. პოსტსაბჭოურ საქართველოში სხვადასხვა რელიგიური ჯგუფის ურთიერთდამოკიდებულება, როგორც სოციალური აზროვნების თავისებურების გამოვლინება//ჟურნალი “მაცნე” – 2005, №2, გვ. 168-177.
3. Tajfel H., Fraser C. Introducing Social Psychology. Penguin Books, N.Y., 1978.
4. Донцов А.И., Емельянова Т.П. Концепция "социальных представлений" в современной французской психологии. М., 1987.
5. 48. Нельсон-Джоунс. Теория и практика консультирования. М., С.-Петербург, 2000.
6. 95. Beck, A.T. Depression: Clinical, Experimental and Theoretical Aspects. New York: Hoeber, 1967.
40. Мей Р.. Смысл тревоги. М., 2001.

**საქართველოში არსებული ეროვნებათმორისი და
რელიგიათმორისი ურთიერთობების
შეფასება რებილიტაციის მოსახლეობის მიერ**

სოციოლოგიური კვლევის შედეგები

დასკვნები

1. გამოკითხულ პირთა უმრავლესობა ეროვნებათმორისი თვალსაზრისით საქართველოში არსებულ მდგომარეობას აფასებს, როგორც დადებითს ან დამაკმაყოფილებელს. სომხებსა და აზერბაიჯანელებთან შედარებით ქართველებს შორის მეტია იმ პირთა რიცხვი, ვისი შეფასებაც უარყოფითია. ანალოგიურად არის შეფასებული რელიგიათმორისი ურთიერთობებიც. ეთნიკური და რელიგიური ნიშნები, ფაქტობრივად, გაიგივებულია, თანაც სამივე ეთნიკურ ჯგუფში: “ქართველობა” – მართლმადიდებლობასთან, “აზერბაიჯანელობა” – მუსლიმობასთან, ხოლო “სომხობა” – გრიგორიანელობასთან¹.
2. გამოკითხულ პირთა ნახევარი ამბობს, რომ ეროვნული ნიშნით ჩაგვრის ფაქტის შესახებ არც კი სმენია. ნაწილს ამის შესახებ მხოლოდ სმენია. დაახლოებით ერთი მეხუთედის თქმით, ეს იშვიათად ხდება. ისინი, ვინც აღნიშნავენ, რომ ასეთი რამ ხშირად ხდება, აშკარად უმცირესობაში არიან – 10%. როგორც ჩანს, სწორედ ესაა ძირითადი მიზეზი იმისა, რომ უმრავლესობა არსებულ მდგომარეობას აფასებს, როგორც დადებითს ან დამაკმაყოფილებელს.
3. განსხვავება სქესის, ასაკისა და განათლების დონის მიხედვით ცალკეული ეთნიკური ჯგუფების შიგნით არ აღინიშნა. მეტიც, განსხვავება არც სომხებისა და აზერბაიჯანელების ჯგუფებს შორის გამოვლენილა. ვფიქრობთ, რომ ეს განპირობებული იყო იმით, რომ კითხვარი ხელს უწყობდა ეროვნული თუ რელიგიური კუთვნილების წინა პლანზე წამოწევას, გარკვეული ეთნიკური, იგივე რელიგიური, ჯგუფის წევრობის განცდის აქტუალიზებას, რამაც მთლიანად დათრგუნა პიროვნების “ეფექტები”, ანუ საკუთარი თავის, როგორც უნიკალური პიროვნების, აღქმა. შესაბამისად, გენდერული, ასაკობრივი თუ სხვა სახის განსხვავება ეთნიკური ჯგუფის შიგნით წაიშალა. სომხებისა და აზერბაიჯანელების შემთხვევაში ადგილი ჰქონდა თვითკატეგორიზაციის მოქმედებას აბსტრაქციის კიდევ უფრო მაღალ დონეზე: ორივე ეთნიკური ჯგუფი ეთნიკური უმცირესობის კატეგორიას განეკუთვნება, ამიტომ ეთნიკურ უმრავლესობასთან შეპირისპირების ხელშემწყობ სიტუაციაში მოხდა ეთნიკური უმცირესობის კატეგორიისადმი კუთვნილების განცდის აქტუალიზაცია, რამაც დათრგუნა ეროვნული იდენტობის “ეფექტები”, ანუ საკუთარი თავის, როგორც გარკვეული ეთნიკური ჯგუფის წევრის, აღქმა.
4. სამივე შესწავლილ ეთნიკურ ჯგუფში ძალიან მცირეა იმ პირთა რიცხვი, ვინც სხვა ეროვნების თუ სარწმუნოების ადამიანს მოწინააღმდეგებ მიიჩნევს. ქართველებისა და სომხების, აზერბაიჯანელების ურთიერთდამოკიდებულებაში აშკარად არ აღინიშნება ე. წ. “სარკისებრი აღქმა” – ერთმანეთის შესახებ ნეგატიური წარმოდგენები, როცა ორივე მხარეს საკუთარი თავი ზნეობრივად და მშვიდობისმოყვარედ მიაჩნია, მეორე მხარე კი – ბოროტად და აგრესიულად, რაც ძალიან ხშირად კონფლიქტის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ხდება: “მტრულ” გარემოცვაში მცხოვრები ადამიანი უცილობლად იცავს თავს. ეს თავდაცვა შეიძლება გამოიხატოს როგორც ქცევის

¹ კითხვარში ტერმინი “გრიგორიანელი” გამოყენებული იყო არასომხეური ეროვნების რესპონძენტების გამოკითხვისას, რაღაც ეკლესიის ოფიციალურ სახელწოდებას “სომხეური სამოციქულო ეკლესია”- შეიძლება გამოტვია გაუგებრობა, ვინაიდან იგი ამ სახელწოდებით არ არის საკმარისად ცნობილი. სომხები ეროვნების რესპონძენტებთან ინტერვიუერები იყენებდნენ იმ სახელწოდებას, რომელთანაც უფრო მტაც ახდენდა რესპონძენტი იდენტიფიცირებას.

ისეთი სტრატეგიით, როგორიცაა თავის არიდება, “გაქცევა”, ისე საპასუხო, ზოგჯერ წინმსწრები, დესტრუქციული ქცევით (აგრესიითაც კი).

5. ქართველების დამოკიდებულება საქართველოში ტრადიციულად მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების – სომხების, აზერბაიჯანელების, რუსებისა და ებრაელების – მიმართ ტოლერანტულია – ბევრისათვის ისინი მისაღები არიან არაფორმალურ ურთიერთობათა დონეზე (მეგობარი, მეზობელი). ამასთანავე, ქართველის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის მხრიდან აღინიშნება გაუცხოება იგზიდების მიმართ. ადსანიშნავია, რომ თითქმის ასეთივეა მათდამი დამოკიდებულება სომხებისა და აზერბაიჯანელების მხრიდანაც. ქართველების უმრავლესობა აღიარებს, რომ საქართველო აქ მცხოვები ყველა ეთნიკური ჯგუფის სამშობლოა. 63% იზიარებს აზრს, რომ ეთნიკური მრავალეროვნება ქვეყნას კულტურულად უფრო მდიდარსა და საინტერესოს ხდის. მაგრამ, ამის მიუხედავად, 63% ასიმილაციის მომხრეა, მხოლოდ 25% არ თვლის, რომ “საქართველოში ქართველები განსაკუთრებული პრივილეგიებით უნდა სარგებლობდნენ”, მხოლოდ 39% არ ეთანხმება აზრს, რომ “ეთნიკური უმცირესობები დამატებით პრობლემებს ქმნიან და სახელმწიფოსათვის პოტენციური, ზოგჯერ კი რეალური საფრთხის წყაროს წარმოადგენენ”.
6. არაქართველთა დამოკიდებულება ეთნიკური ქართველების მიმართ უფრო დადებითია, ვიდრე ამ უკანასკნელთა დამოკიდებულება ეთნიკური უმცირესობების მიმართ.
7. ქართველების ტოლერანტობა (არაფორმალურ ურთიერთობათა დონეზე) ნაკლებად ვრცელდება საქართველოში ახლადშემოსულ ეთნიკურ ჯგუფებზე – ჩინელებსა და თურქებზე: ჩინელებთან თანაცხოვრების მიმართ რესპონდენტთა 60%-ის დამოკიდებულება უარყოფითია; თურქების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი ნაკლებია – 43% (ისეთივე, როგორც ქურთების მიმართ).
8. გამოკითხულ ქართველთა დიდი უმრავლესობის (93%) დამოკიდებულება ზოგადად “ქრისტიანის” მიმართ დადებითია. მაგრამ ეკლესიის (კონფესიის) დაკონკრეტებისას სურათი განხვავებულია. სახელდობრ, კათოლიკეს 61% “მეზობლად და მეგობრად” აღიქვამს, მაგრამ გაცილებით ნაკლებია (26%) იმ პირთა რიცხვი, ვინც ასეთად პროტესტანტებისაც მიიჩნევს. ამის მიზეზი, ჩვენი ვარაუდით, შეიძლება იყოს ის, რომ პროტესტანტები ასოცირდება “არატრადიციულ რელიგიებთან”, პირველ რიგში იგჰვას მოწმებთან, როგორც მიმართ დამოკიდებულება უარყოფითია. ასეთი განსხვავება, სავარაუდოდ, განპირობებულია იმით, რომ ბევრისათვის “ქრისტიანი” მაინც მართლმადიდებელს ნიშნავს. ზოგადად “მუსლიმი”, როგორც ჩანს, აზერბაიჯანელისაგან გამიჯულია, ვინაიდან პირველის მიმართ დამოკიდებულება გაცილებით უფრო უარყოფითია (45% და 19% შესაბამისად). ისლამის სხვადასხვა კონფესიის მიმდევრთა (სუნიტების, შიიტებისა და ვაჰაბიტების) მიმართ დამოკიდებულება ერთნაირია. რაც მთავარია, შეუწყნარებელი დამოკიდებულება ძალიან იშვიათია – იმ პირთა რიცხვი, ვინც სხვა სარწმუნოების ადამიანს მოწინააღმდეგებდ მიიჩნევს, ძალიან მცირეა.
9. სომხებისა და აზერბაიჯანელების დიდი უმრავლესობისათვის ქართველი მისაღებია არაფორმალურ ურთიერთობათა დონეზე. უმრავლესობისათვის ასევე მისაღებია რუსები – შესაბამისი მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე ქართველებისა. შედარებით ნაკლებია ასეთი დამოკიდებულების მზაობა ებრაელებთან, იგზიდებთან. ებრაელების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე ქართველებისა. ქურთების მიმართ ქართველებს, სომხებისა და აზერბაიჯანელებს ერთნაირი დამოკიდებულება აქვთ. სომხებისა და აზერბაიჯანელების ურთიერთდამოკიდებულება ერთნაირია. ადსანიშნავია, რომ არატრადიციული დამოკიდებულება გაცილებით უფრო იშვიათია, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო: შეუწყნარებელი დამოკიდებულების (“მოწინააღმდეგე და კონკურენტი”) სისმირე დაბალია. სომხების დამოკიდებულება თურქების მიმართ უარყოფითია, ნაკლებად უარყოფითი – ჩინელების მიმართ. აზერბაიჯანელების დამოკიდებულება თურქების მიმართ დადებითია, გაცილებით ნაკლე-

ბად დადგებითი – ჩინელების მიმართ.

